საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნანა ვასაძე-ჯანელიძე

ისტორიული რეალიები ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნაილე მიქელაძე - ასოც. პროფ.

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ვასაძე-ჯანელიძე ნაშრომის წარდგენის თარიღი

მადლობა მინდა გადავუხალო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორს, ასოცირებულ პროფესორს, ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორს და წინამდებარე ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ ნაილე მიქელაძეს კვლევის განხორციელებაში დახმარებისთვის. აგრეთვე მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გაწეული დახმარებისთვის.

ანოტაცია

ნაშრომში „ისტორიული რეალიები ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში“ საუბარია მე-19 საუკუნის იმ პერიოდზე, რომელიც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ თავფურცლებს მოიცავს.

ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) თავისი შემოქმედებით მხატვარია იმ პერიოდის გართულებული სოციალური სინამდვილისა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. იგი მსოფლმხედველობითი და მხატვრული აზროვნებითაც პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის უახლოესი წინამორბედია.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციების განმგრძობია. მხატვრული სტილის თვალსაზრისით იგი ილია ჭავჭავაძის სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია.

თემა აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც ავტორის დამახასიათებელ სამწერლობო თავისებურებათა შორის პირველ რიგში ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ თავისი ყოველი ნაწარმოებით იგი ცხოვრების აქტუალურ, საჭირბოროტო მოვლენას ეხმაურება, მასალად ცხოვრების სინამდვილის კონკრეტულ ფაქტს იყენებს, გარდაქმნის და გადაამუშავებს თავისი იდეური მიზანდასახულობით.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები და თემატიკა, ეროვნული იდეალები. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ადამიანთა დუხჭირი ცხოვრების ეპიზოდები და სხვა.

როგორც მწერალს ,,ეპოქის მხატვარს“, ეგნატე ნინოშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება, არა მარტო ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის, არამედ იმ ეპოქის შემსწავლელ მკვლევართათვის.

Annotation

In the work "Historical realities of Egnate Ninoshvili's creation" is spoken about the period of the 19th century, which includes tragic headlines of Georgian history.

Egnate Ninoshvili (Ingorokva) is a creative artist of the period of complicated social reality that preceded the development of the revolutionary movement of the working class in our country. It is the closest predecessor of the class writing of the proletariat as well as the ideological and artistic thinking.

Creation of Egnate Ninoshvili continued the traditions of Georgian critical realism. In terms of artistic style he is one of the finest representative of the school of Ilia Chavchavadze.

The subject is actual. It is remaquable that the main characteristics of the author are that in each his work , he concerns the actual and harsh phenomenon of the life, utilizes the real factual fact of life as a material, transforms and considers with his ideological purpose.

The main themes and motives of Egnate Ninoshvili's prose are presented in the work as well as the national ideals. Social-political situation of Georgia, episodes of life of people and others. As a writer “artist of apoch”, Egnate Ninoshvili occupies one of the leading place in Georgian literature.

We believe that the work will be interesting not only for people who are interested Egnate Ninoshvili's creation but for explorers of that epoch.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 6
თავი I. ,,ერისა და ქვეყნის მესურათხატე“-ეგნატე ნინოშვილი 11
თავი II. ეროვნული ტრაგიზმი ეგნატე ნინოშვილის რომანის „ჯანყი გურიაში“ მიხედვით.19
თავი III. ,,ხალხის ტკივილებით გამსჭვალული გული“ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით.....40
თავი IV. სახასიათო ტიპები და გვარები ეგნატატე ნინოშვილს შემოქმედებაში 64
თავი. V. ნინოშვილის გმირთა ეკრანიზაცია.....69
თავი VI. ავტორისეული ხედვა ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტიკაში.....73
დასკვნა.....77
გამოყენებული ლიტერატურა.....80

შესავალი

მე-19 საუკუნე საქართველოსთვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი იყო, როგორც სოციალური-პოლიტიკურ-ეკონომიკური ფონით, ისე ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრებით, რადგან ამ ეპოქაში არსებითად მნიშვნელოვანი მოვლენების ძვრები და გარდატეხა მოხდა.

მე-18 საუკუნის დასასრულს საქართველომ არჩევანი ორ ალტერნატივას შორის გააკეთა: შეუერთდებოდა ერთმორწმუნე, ეკონომიკურად და კულტურულად მაღალ დონეზე მყოფ რუსეთს თუ სპარსეთის ან თურქეთის აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა. საქართველომ ირჩია რუსეთთან ურთიერთობა, რამაც ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენა უზრუნველყო (გამეზარდაშვილი,1957: 76).

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ისტორიის შესასწავლად ძვირფას წყაროს წარმოადგენს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები. ამ კრებულებში მოთავსებულ მთავრობის დადგენილებებში მკითხველი აღმოაჩენს საჭირო მასალას ცარიზმის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად. XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ზემოხსენებულ პირველწყაროებთან ერთად ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული შესწავლისათვის

პირველწყაროებს წარმოადგენს მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური, პედაგოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები. უმნიშვნელოვანესი წყაროა აგრეთვე, მწერალთა, მოაზროვნეთა, ეროვნულ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის მოღვაწეთა ბიოგრაფიული და სხვა ხასიათის დოკუმენტების შემცველი კრებულები და მემუარული მასალები (ანთელავა,1970: 3)

ისტორიული მასალებიდან ვხედავთ, რომ როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში სრულიად გაბატონდა ახალი მმართველობის სისტემა, რომელიც სრულად იყო მართული მეფის რუსეთის მიერ და გამოირჩეოდა იმით, რომ მას ჰქონდა სამხედრო ხასიათი. მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონნი სამხედრო უწყებები და სამხედრო პირები იყვნენ.

ეს პერიოდი მდიდარია, არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენებით, არამედ კულტურისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი განვითრებით, ერის ნაციონალური შეგნების, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებითა და მძლავრი დემოკრატიული აღმავლობით. ეს იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სტრუქტურის შეცვლის გამო, ძირითადი გარდატეხა მოხდა სოციალურ ძალთა განლაგებაში, რაც მკვეთრად აისახა ერის იდეოლოგიურ ცხოვრებაში. საზოგადოებრივ-ისტორიულ რეალობაში მიმდინარე პროცესებთან ღრმა კავშირი ჰქონდა ეროვნული ენერგიის მძლავრ გამოვლინებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებაში. დაიწყო ძლიერი აყვავება ქართული მწერლობისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხალხის ცხოვრებას და ახალი გზით წარმართა მისი განვითარების ისტორიული პროცესები.

განსაკუთრებით აღსანიშვნის ღირსია, ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის განმათავისუფლებელი პათოსი და იდეური სიღრმე, რაც განპირობებული იყო იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივ–ისტორიული ცხოვრებით და მდიდარი კულტურული

ტრადიციებით. ეს იყო ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კულტურის წინსვალს ყოველმხრივ სდევნიდა და ავიწროებდა მეფის ხელისუფლება, ქართულ-ეროვნული შემოქმედებითი ძალები მაინც ახერხებდნენ, საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესების ფართო მასებში გადატანას.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის სკოლის ჩამოყალიბებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ გიორგი ერისთავმა მოამზადა. დ. ჭონქაძემ ეს მიმართულება კიდევ უფრო განამტკიცა და გიორგი ერისთავთან და ლავრენტი არდაზიანთან ერთად. მოგვიანებით ქართველმა სამოციანელებმა მაღლა ასწიეს ოცდაათიანელებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. მათ შეუდრეკელ ბრძოლას მეფის ხელისუფლების წანააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

ისტორიულად, რეალიზმის ტენდენციები შეინიშნებოდა ჯერ კიდევ ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. მომდევნო ხანაში კი ჩაისახა რეალიზმის სკოლა, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ადრეული რეალიზმის სახელით (გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, ზ. ანტონოვი). ამ რეალისტურ სკოლას მნიშვნელოვნად ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული კრიტიკული ელემენტები. მაგრამ ქართული კრიტიკული რეალიზმი, როგორც მოწინავე მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული მხატვრული სისტემა, რომელმაც პასუხი გასცა სოციალურ-ეროვნული მოძრაობის მიერ წამოყენებულ ეპოქალურ მიზნებსა და ამოცანებს, თავისი კლასიკური სახით 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის და 60-იანი წლების სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებაში მკაცრი კრიტიკული მიდგომით და ღრმა რეალისტური სიმართლით აისახა საქართველოს იმდროინდელი სინამდვილე.

შემდეგ კი გაგრძელება ჰპოვა მის მიმდევართა შემოქმედებაში, კერძოდ ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის.

ქართული კრიტიკული რეალიზმისათვის სახასიათო იყო განმათავისუფლებელ-საზოგადოებრივ მოძრაობასთან განუყრელი კავშირი, სოციალურ საკითხთან ერთად დაწინაურება ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის პრობლემისა. ახალი იდეური პრობლემატიკა და მხატვრული ნოვატორობა, სოციალური სიმახინჯისათვის ნიღბის ჩამოგლეჯა, სინამდვილის ჩვენება ტიპიურ სახეებში და ტიპიურ გარემოებაში.

ამრიგად, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების გეზი, რამაც ხელი შეუწყო ქართველ ხალხს კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებშიც კი გაეღრმავებინა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, საკაცობრიო პროგრესის უახლესი მიღწევებით გაემდიდრებინა თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ჩაბმულიყო ეპოქის საზოგადოებრივი მოძრაობის ფერხულში.

აი ასეთ გარემოებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ დროში მოუწია მოღვაწეობა ეგნატე ნინოშვილს.

ნაშრომის მიზანია ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის, ქართული სულისა და ტრადიციულ ზნეობრივ სიღრმეებში წვდომა. ასევე მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ყურადღება გავამახახვილოთ და ვაჩვენოთ ის დიდი ეროვნული როლი, რომელსაც ეგნატე ნინოშვილის სალიტერატურო შემოქმედება ასრულებს. თავისთავად, მწერლისთვის ლიტერატურა ისტორიული წარსულის ხედვასა და აწმყოს ეროვნულ იდეალს გამოხატავს.

მწერლის შემოქმედების გაცნობისას უნებლიედ გეუფლება შინაგანი განცდა სულიერებისა და ეროვნულობისა, რომელსაც ქვეყნის საძირკველთან მივყავართ.

მისი შემოქმედების წარმოდგენილ საკითხთა მეცნიერული შესწავლისა და გააზრების აქტუალობას განსაზღვრას მწერლის განსაკუთრებული მიდგომა, რომელიც თვით იმ ახალი ეპოქის თავისებურებებიდან მოდის, რომელშიაც მწერალს უხდებოდა ცხოვრება.

მწერლის კვლევის ობიექტია საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვითა და ადრეული განვითარებით გამოწვეული ცვლილებები, რომელიც ქართულმა სოფელმა განიცადა და, რომელმაც, კიდევ უფრო დაამძიმა გლეხების ისედაც მძიმე ცხოვრება. მწერალმა მკაცრი რეალისტის თვალით დაინახა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და თავის შემოქმედებაში წარმოაჩინა ის სამყარო, რომელიც მომწიფებული იყო რევოლუციური გარდაქმნებისათვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს, ის რომ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება არაერთი მეცნიერისა და მკლევარის შესწავლის საგანი გამხდარა, თუმცა იმ მხრივ, რა მხრივაც (ახლებური ხედვით) ჩვენ გვაქვს კვლევა წარმოდგენილი, ამ ფორმით მისი შემოქმედება არ ყოფილა შესწავლილი.

ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები კრიტიკულადაა განხილული, რის საფუძველძეც მიღებულია კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ემყარება თანამდეროვე მკლევართა შეხედულებებს. სამაგისტრო ნაშრომში დაწვრილებითაა შესწავლილი და შეფასებული საკითხზე გამოქვეყნებული ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, ეს და სხვა საკითხები ვაქციეთ მეცნიერულ კვლევის საგნად.

თავი I. ,,ერისა და ქვეყნის მესურათხატე“-ეგნატე ნინოშვილი

მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი ქართულ სულსა და ტრადიციულ ზნეობრივ სიღრმეებში წვდომაა. ისტორიული წარსულის ხედვა ერთდროულად წარსულის ზნეობრივ ფენომენსაც გამოხატავს და აწმყოს ეროვნულ იდეალსაც.

თანამედროვეთა გადმოცემით, ეგნატე იყო „ქერათმიანი, სანდომიანი, ინტელიგენტური სახის ყმაწვილი კაცი. ეგნატეს მაინც და მაინც მხიარული სახე არ ქონდა, არ იცინოდა, თითქო რაღაცაზე მწუხარეცაა, მაგრამ ეს ინტელიგენტური ნაღველი და სევდა მას, მშვენიერს და სასიამოვნოს, მიმზიდველს საყურებელს და სანახავსაც ხდიდნენ“. მეგობრისთვის თავდადებული, სტუმართმოყვარე, მართალი და პირუთვნელი - ასეთი იყო ეგნატე ნინოშვილი თანამედროვეთა თვალით. თავად უჭირს და თეატრალური დადგმებისათვის, ისე რომ მისი სახელი არ გამოჩნდეს, ფულს სწირავს, ნასესხები თანხით მეგობრებს უმასპინძლდება, თავად საპატრონო და საზრუნავი, სხვის ბედზე ფიქრობს: ,,ეს ოხერი, ქალური გული მაქვს - როგორც კი ტოლამხანაგებს დავშორდები, რაღაც

საშინელი სევდა და ჯავრი მომიცავს,“- სწერს ის ერთ მეგობარს. მაგრამ ეს სათუთი გრძნობის კაცი მეტად მტკიცე ნების, უკომპრომისო პიროვნება იყო: „სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა! რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისთვის, ჯანი გავარდეს იმ სიცოცხლეს, თუკი ჩემს დღეში კომპრომისებზე ვივლი! ჩვენი ცხოვრება უიმისოდაც კომპრომისებით არის სავსე. სადაც უსინდისობას დაინახავ იქვე უნდა უკიჟინო“ - აი, ასეთია ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების დევიზი; ამ პრინციპებით ცხოვრება კი, ცხადია, ყოველ დროში ჭირს, მით უფრო მაშინ. თავისი ცხოვრების უკომპრომისო, ზნეობრივად მყარი წესითა და უდრეკი ხასიათით, კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, „ნინოშვილისთანა ვაჟკაცს ბევრს ვერ ვხედავთ საქართველოში“, საოცრად მორცხვი, მორიდებული და ამავე დროს, თავმოყვარეა მწერალი. თუმცა ლაპარაკზე მეტად ეგნატეს მოსმენა ჰყვარებია.

დაძაბულმა შემოქმედებითმა ჯაფამ, ფიზიკურმა შრომამ და საარსებო საშუალებათა ძიებაზე გამუდმებულმა ფიქრმა გატეხა მწერლის ჯამრთელობა. თუ ერთ დროს თავისი სამკვირცხლითა და სიმპათიური შესახედაობით იპყრობდა ეგნატე-თანამედროვეთა ყურადღებას, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით უკვე „ტანჯული სახით“, „მილეული შესახედაობით“, „გაჭირვებული სუნთქვით“, „მორღვეული“, „ გაგანიერებული ცისფერი თვალებით“ დარჩა იგი ნაცნობთა მეხსიერებაში.

ეგნატე ნინოშვილის ნიჭი მის სიცოცხლეში უყურადღებოდ არ დარჩენილა. მას სიცოცხლეში აღიარება არ მოჰკლებია, რასაც წერდა, თითქმის დაუყოვნებლივ იბეჭდებოდა, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, ითარგმნებოდა რუსულად. მწერლის გარდაცვალების შემდეგ კი სომხურ და უკრაინულ ენებზე. ეგნატე ნინოშვილის მოწოდება პირველ ყოვლისა, მხატვრული შემოქმედება იყო, თუმცა ის ასპარეზზე პუბლიცისტიკით წარსდგა. მისი ბელეტრისტული ნიჭი იმთავითვე შენიშნა და დააფასა ქართული ლიტერატურის ზოგიერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა. ის ფაქტი, რომ მისი მოთხრობების უმრავლესობა გაზეთ “ივერიაში” დაიბეჭდა, ამის დასტურია. ეს ფაქტი კი

მოწმობს ამ გაზეთის რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის დიდ ყურადღებას ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებისადმი. აკაკი წერეთელმა მოკლე პოეტური ფრაზით შესანიშნავად შეაფასა ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: „სიცოცხლე ხანმოკლე, ხანგრძლივად ნაყოფიერი“ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების მნიშვნელობის შეფასებისას გიორგი წერეთელი ამბობდა: „იმან მიგვითითა ჩვენი ერის საძირკველზე, მიწის მუშა დაბალ მშრომელ წოდებაზე ... იმან გამოიყვანა სამაგალითო პირები ამ წოდებისა... და გვიჩვენა, რომ ეს მივიწყებული ბურჯი ჩვენი ერისა, მრავალნაირი ცუდი გარემოებისა და უპატრონობისაგან მეტად დაცემულს, ბნელს მდგომარეობაშია“(აბაშიძე,1981:71).

თუმცა აღსანიშნავია, რომ მის ხელმოკლეობას ვერაფერს შველოდა ეს აღიარება. ხელმოკლეობა რა სათქმელია, ელემენტარულად ფიზიკურად საარსებო პირობების მინიმუმიც არ გააჩნდა მწერალს. უკვე სახელმოხვეჭილ მწერალ ეგნატე ნინოშვილს 1892 წელს თავისი წიგნისთვის პორტრეტებს სთხოვენ, მას კი სურათის გადასაღები ფულიც არ ააქვს. მწერალს ჰყავს მეგობრები, როგორც პირადი მიმოწერიდან ვხედავთ, ძალზე დაახლოებული ყოფილა თედო სახოკიასთან. მეგობართაგან დახმარება ძალზე მწირია, რადგან ამ მეგობართაგან ყველას ან თითქმის ყველას უჭირდა იმ დროს. ცნობილ ქართველ მოღვაწე-მწერალთაგან მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ ჩვენმა საამაყო პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა მოახერხა, ისე, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეელახა, დახმარების ხელი გაეწოდებინა უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი მომაკვდავი მწერლისთვის. იაკობისადმი ეგნატეს დამოკიდებულება ჩანს მისივე წერლილში: „დიდ მადლობას მოგახსენებთ, აგრეთვე ფულის გამოგზავნისათვის. მხოლოდ გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ ეს ფული შემდეგში გადაგიხადოთ. მართალია, თქვენისთანა ღირსეული და პატივცემული პირისაგან შემწეობასაც ვერ ვითაკილებ, მეტადრე ისეთი მხურვალე თანაგრძნობით მოძღვნილს, მაგრამ ახლა, როცა ერთი მხრივ, საზოგადო ფულს ვხარჯავ, რომელიც შესდგება თქვენ და თქვენისთანა გულშემატკივარი

პატივცემული პირებისაგან გაღებული ფულით, დიდი ურიგობა იქნება ჩემის მხრით, რომ კერძოთ კიდევ თითოეულ პირისაგან დავიწყო შემწეობის მიღება. უნდა მოგახსენოთ, საზოგადო ფულს რომ ვგებულობთ, იმის გამოც შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში: თუნდა მოვრჩე კიდეც შევძლებ კი მიუზღო საზოგადოებას ან ნივთიერად ან ჩემი ნაწერებით ჩემზე დანახარჯი? ან კიდევ ახლა რომ მოვკვდე, რა დარჩება საზოგადოებას ჩემგან? რამდენიმე პატარ-პატარა მოთხრობები! ეს არ არის საკმარისი. მე ისიც მეყოფა ჯილდოთ, თუკი ჩემი ნაწერების კითხვამ ქართველ საზოგადოებას მოუტანა ცოტაოდენი მაინც ჭეშმარიტი სიამოვნება. მე დაჯილდოებულად ვსთვლი თავისთავს, როცა თქვენისთანა ღირსეული პირი მეუბნება: შენი ნაწერების წაკითხვით ვისიამოვნეო. როგორ ღმერთი გამიწყრება, რომ თითოეულ პირისაგან კიდე ამისთვის ფული ავიღო! განა არა კმარა ისიც, რომ საზოგადოებას ჩამოვეკიდე სარჩენად! ჩემი მოთხრობების გამოცემისათვის თქვენისთანა მზრუნველს მე ვიგას ვიპოვნი. მე ამაზე ფიქრსაც ვერ გავბედავდი, რომ თქვენ არ გებრძანებიათ (ნინოშვილი,1954:580)

ყველასათვის ცნობილია ის მაღალი შეფასება, რომელსაც ნინოშვილის მხატვრულ ნაწარმოებებს აძლევდნენ "მესამე დასელები". მათ ეგნატე ნინოშვილი მიაჩნდათ არა მარტო დიდ მხატვრად, არამედ თავიანთი იდეური ბრძოლის ერთ-ერთ საიმედო მეთაურადაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართული ლიტერატურის ზოგიერთმა მკვლევარმა, თავის დროზე, ეჭვქვეშ დააყენა ე. ნინოშვილის მხატვრული ნიჭი, მისი მოთხრობების მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება. ავღნიშნავ მაგალითად, კიტა აბაშიძეს, რომელსაც ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების ღირსებად მხოლოდ ის მიაჩნდა, რომ მათს ავტორს აქვს "გარკვეული ზნეობრივი მსჯელობა ყოველივე მისგან აღწერილი მოვლენის შესახებ. გარკვეული შეხედულება ცხოვრებაზე, მორალურს პრინციპებზედ აგებული". რაც შეეხება ამ მოთხრობების მხატვრულ მხარეს, კ. აბაშიძეს იგი "ერთობ სუსტად" მიაჩნდა. ე. ნინოშვილის მოთხრობებში იგი ცხოვრების მოვლენების მხოლოდ ფოტოგრაფიულ ანარეკლს ხედავდა. ნინოშვილის შემოქმედებისადმი აშკარა

ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა კრიტიკოსი ხომლელიც. მაგრამ, როგორც დავინახე, ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების ამგვარი მცდარი შეფასებისაგან შორს დგას ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმრავლესობა (წერეთელი(ბ), 1950:332; აბაშიძე, 1897:94).

ეგნატე ნინიშვილის ბედით ინტერესდება და მის სანახავად მიდის ყოველი ქართველი მწერლის დუხჭირი ცხოვრების ჭირისუფალი დავით კლდიაშვილი. სხვები? სხვები მხოლოდ ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოთქვამენ დაგვიანებულ გულისტკივილს. საუბარია ნივთიერ დახმარებაზე, თორემ პირველი, ვინც ეგნატეს ნიჭი შეამჩნია და დააფასა როგორც ზემოთ აღვნიშნე ილია ჭავჭავაძე იყო. ჩვენამდე მოღწეულია ილიას მიერ ნინოშვილის ნიჭიერების შესახებ გამოთქმული აზრი „ივერიის“ თანამშრომლებთან. ეგნატეს ნიჭის ქომაგია ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი, მისი მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი. ასევე აფასებენ მას პეტრე უმიკაშვილი, საშა წულუკიძე, მიხა ცხაკაია, შიო არაგვისპირელი და სხვანი (ევგენიძე, 1943).

მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილის აზრით, ეგნატეს იდეოლოგიური დაპირისპირება ჰქონდა „ივერიასთან“ და ილია ჭავჭავაძესთან, მაგრამ ამას თვით ეგნატე აბათილებს თედო სახოკიასადმი 1892 წლის 9 მაისს მიწერილ წერილში, რომელშიც ასახელებს „ივერიასთან“ დაშორების მთავარ მოტივს: „ ძალიან უკაცურად დამხვდა „ივერიის“ რედაქცია; აგერ ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში ბარე ოცდაერთი ფელეტონი მიაწოდა საზოგადოებას, ჩემი დაწერილი და მე ერთი გროშითაც არ გავხსენებივარ. არა, თუ ღმერთი გწამს, თუ არ ვარგოდა ის 21 ფელეტონი, როგორ წააკითხა იმდენა ხალხს! და თუ რამედ ღირდა, რატომ არაფერი მომცეს?... რას მერჩოდნენ, რომ ერთი გროში არ გაიმეტეს ჩემთვის?... აი ეს იყო მიზეზი რომ გუშინწინ წერილი მივწერე - თქვენს „ივერიაში“ ვეღარ დავბეჭდავ ჩემს მოთხრობებს-მეთქი. არც დავბეჭდავ...“ (ნინოშვილი,1954:594,595).

მოცემული წერილიდან ვგებულობთ ილია ჭავჭავაძესა და ეგნატე ნინოშვილს გაუგებრობის მიზეზს, რასაც „იდეოლოგიურ დაპირისპირებას „ნამდვილად ვერ ვუწოდებით. რამეთუ არსებობს წერილები, სადაც ილია ჯეროვნად აფასებს ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებას.

ეგნატე ნინოშვილი თავისი დროის შესანიშნავი მოქალაქე იყო. ის უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის უკეთეს მომავალსა და მშობელი ხალხის წყლულების განკურნებაზე ფიქრობდა: „მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც ცრუ აზროვნებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნებაზე“, - წერს ერთგან ეგნატე და ამ საპატიო მოვალეობისათვის არასოდეს ღალატობს. მწერლის მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებამ და ხასიათის უკომპრომისობამ საზოგადოების თვალში შეუქმნა ნინოშვილს იმ დროისათვის ყველაზე მწვავე სოციალური მიზანწრაფვით აღჭურვილი ახალგაზრდრობის თავკაცის სახელი და ბოლო ხანებში აქცია იგი ჟურნალ „კვალის“ თანამშრომლად. თუმცა მწერალი, გიორგი წერეთელს სწერს: „იმიტომ კი არა, რომ „კვალი ახალგაზრდობის ორგანოა. შეიძლება, ბევრ ახალგაზრდასთან მე საერთო არა მქონდეს რა მე მხოლოდ პატივს ვცემ „კვალის“ მეთაურთ“ (ნინოშვილი, 1954:.584) . ამ სიტყვებით ეგნატე ნინოშვილმა გარკვევით მიანიშნა, რომ გამძაფრებული კლასობრივი შეგნების მიუხედავად, მისთვის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი და საზოგადო მოღვაწე ერთნაირად პატივსაცემი იყო, თუ იგი მათ საქმიანობაში სამართლიანობისა და უანგარობას ხედავდა. მისთვის მთავარი იყო იდეა, რადგან იდეის გარეშე არა არის ბრძოლა. მთავარმა იდეამ უნდა დაიმორჩილოს ადამიანის გული და გონება, აი მაშინ იქნება წინსვლა - ასე ფიქრობდა ჩაგრულთა მწერალი.

ეგნატე ეპოქის ღვიძლი შვილია. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მოკლე 7-წლიანი პერიოდის განმავლობაში მან შეძლო თავისი კვალი დაემჩნია ქართული

ლიტერატურისთვის. პუბლიცისტმა, მხატვარმა და საზოგადო მოღვაწემ, თავისი შემოქმედება სამშობლოსადმი სიყვარულის, პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობითა და ჩაგრულ ხალხზე ფიქრით შეამკო. ეგნატე ყველაფერს თავისი დროის თანამედროვეობის საჭიროებებს უსაბამებს. როგორც რეალისტი მხატვარი, საგნებსა და მოვლენებს ცოცხალი სინამდვილის ფორმაში განიხილავს. ეგნატე ნინოშვილი ბრწყინვალე ოსტატად გვევლინება პერსონაჟთა ტიპებისა და ხასიათების გამოძერწვისას. წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ლიტერატურასა და მკითხველთა გონებაში მის მიერ შექმნილმა უკვდავმა სახეებმა.

მწერალს დიდი თანაგრძნობას უწევდნენ იმდროინდელი ქართველი მოღვაწენი, ხოლო მომდევნო პერიოდში, რევოლუციის სულისკვეთებისა და მოძრაობის მომძლავრების დროს, იგი ამ ახალი იდეების დამსახველად მიიჩნიეს მწერლობაში. აქედან გავრცელდა მოსაზრებაც, თითქოს ეგნატე ნინოშვილი სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელია ქართულ ლიტერატურაში, და ამრიგად მეოცე საუკუნის მწერლობის დამწყებიც. თუმცა უკვე ცხადია, რომ ეგნატე ნინოშვილი კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ზღვარზე იყო და მან უფრო დაასრულა პირველი, ვიდრე დაიწყო მეორე. ეგნატე ნინოშვილით მთავრდება ფაქტობრივად ის დიდი და მნიშვნელოვანი პერიოდი ქართული მწერლობისა, რომელსაც კრიტიკული რეალიზმის პერიოდს ვუწოდებთ.

ეგნატე ნინოშვილი ახალი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენაა, როგორც თავისი მსოფლმხედველობით ისე ლიტერატურული მიმართულებით. იგი ლიტერატურაში ახალს, თავისებურ პერიოდს იწყებს. ჭეშმარიტად, ის „მომავლის გაზაფხულის პირველი მერცხალია“, როგორც აკაკი წერეთელმა უწოდა (წერეთელი, 1894:4).

მკვლევრთა აზრით, „ეგ. ნინოშვილს თავის თხზულებათა მასალად აღებული აქვს საკუთარი კუთხის უშუალო სინამდვილე: მან გურიის ლურჯთვალა ცა, ცხელსისხლიანი, სიმღერის ულევი წყურვილითა და უკმარობის ჟინით სავსე ფიცხი ხალხი მოაქცია იმდროინდელი საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში; მანამდე ასე თუ ისე განკეროებით მდგარი ეს კუთხე შემოიტანა ქართულ მწერლობაში და სწორედ ამით გვიჩვენა გურიის მოუცილებელი და განუწყვეტელი ფსიქოეთნიკური ერთიანობა მთელ საქართველოსთან. ესაა საერთო-ეროვნული ამოცანების თვალსაზრისით ილ. ჭავჭავაძის მიერ დასახული სანუკვარი იდეალებისთვის ბრძოლის ერთი გამოხატულება და ნინოშვილის როგორც ქართველი მწერლის დამსახურებაც“ (ევგენიძე,1943: 547).

ეგნატე ნინოშვილამდე ქართულ მწერლობაში გურიის ტრადიციები და ლიტერატურული ღირებულება მკითხველისთვის უცნობი იყო. მან, პირველმა, ჩვენს სინამდვილეში, აქცია მხატვრული ასახვის საგნად გურია და გურულთა ხასიათი. მწერალმა ამით ერთი ახალი აგური დადო ზოგადქართულ ხასიათში და გააღრმავა ქართველი ადამიანის ბუნების შინაგანი მრავალფეროვნების ხილვის დიაპაზონი. გარდა ამისა, სიმონ ჯანაშიას თქმით: „საქართველოს კულტურულ ცირკულაციაში“ თუ მხედველობაში არ მივიღებთ უნიკალურ გურულ სიმღერებს და მამია გურიელის პოეზიას, გურულთა მხატვრული ენერგია ნინოშვილამდე მაინც და მაინც არ ჩანდა. ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა თემა გურიის ცხოვრებაა და ამ მხრივ იგი სანდო რეალისტია. მწერალი სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგენს მძაფრი, სოციალური ყოფის სურათს. მხატვრულ სახეებში აცოცხლებს ადამიანში პიროვნების გაღვიძების რამდენიმე საფეხურს.

დიდმა აკაკიმ 1895 წელს ეგნატეს პორტრეტზე ასეთი რამ წააწერა: „მას, ვინც სიცოცხლე ხანმოკლე ხანგრძლივად ნაყოფიერი, წმინდად უმსხვერპლა სამშობლოს, არ დაივიწყებს არც ერი“ (იქვე, 545 ; წერეთელი, 1950:332; “კვალი”, 1894:3-4 №21; წერეთელი, 1894: 4.)

ამრიგად, ნამდვილად რთულია, გაეცნო ეგ. ნინოშვილის შემოქმედებას და ოდესმე დაგავიწყდეს მის ნაწარმოებებში, სადაც წარმოდგენილია გურულთა ტრაგიკული სახეები, ამ კუთხის მცხოვრებთა რეალური ისტორიები.

თავი II. ეროვნული ტრაგიზმი ეგნატე ნინოშვილის რომანის „ჯანყი გურიაში“ მიხედვით.

მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში საერთო-სახალხო აჯანყებებს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: აღვიძებდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებას და სერიოზულ ძალას წარმოადგენდა

თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ძლიერი სოციალური მოძრაობები თავის გამოძახილს პოულობდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ აზროვნებაში, მის მდიდარ მხატვრულ ლიტერატურაში. აღნიშნულ ისტორიულ მოძრაობებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ალ. ჭავჭავაძის სოციალური პათოსით გამთბარი თხზულებანი, გრიგოლ ორბელიანის რესპუბლიკური იდეალები, სოლომონ დოდაშვილის პროგრესული აზრები და განსაკუთრებით კი შემოქმედება ნ. ბარათაშვილისა, რომელმაც შექმნა თავისუფლების დიდებული ჰიმნი და ქართველი ხალხის შეუდრეკელი ნებისყოფა გამოხატა.

ისტორიულად, როგორც ცნობილია, 40-50-იან წლებში, კიდევ უფრო დამძიმდა გლეხობის მდგომარეობა. იგი განიცდიდა უდიდეს სოციალური ჩაგვრას. რის გამოც აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა გლეხთა მასობრივი გამოსვლები და აჯანყებები ეს აჯანყებები იღებდა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს. ხალხში იღვიძებდა საზოგადოებრივი შეგნება, რაც თანდათან აძლიერებდა სახალხო - განმათავისუფლებელ მოძრაობას. თვითმპყრობელობის მიერ საქართველოში ახლად შემოღებული საგუბერნიო ბიუროკრატიული მმართველობა და ქართველი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებული სასამართლო, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. სამეურნეო - ფინანსური გართულებანი, მეფის მოხელეთა თავგასულობა და მექრთამეობა, რომელშიც მთავრობის უმაღლესი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, ანრისხებდა გლეხობას, რადგან სამხედრო ბიუროკრატიის მიერ მოსახლეობის ძარცვა და შევიწროება კოლონიური ჩაგვრის პირველივე წლებში გამოვლინდა და წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

დამონებულ სამშობლოს მდგომარეობას და ახალ განმათავისუფლებელ იდეებს, რითაც გაჟღენთილი იყო მაშინდელი საზოგადოებრივი ატმოსფერო, არ შეეძლო თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა მოაზროვნე ქართველი ახალი თაობის სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე.

მწერლის მხატვრული განზრახვაა ჩაწვდეს ქართულ სულსა და ტრადიციულ ზნეობრივ სიღრმეებს. ისტორიული წარსულის ინტერპრეტირება ერთდროულად წარსულის ზნეობრივ ფენომენსაც გამოხატავს და აწმყოს ეროვნულ იდეალსაც.

იმ პერიოდის ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში, ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მე–19 საუკუნის 60-იან წლებს. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ბატონყმობის გაუქმება იყო. იმპერატორი ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა გამოეცა დეკრეტი გლეხების გათავისუფლების შესახებ (1861 წლის 19 თებერვალი). ამ დებულებით გლეხი 2 წლის მანძილზე ვალდებული იყო კვლავ შეესრულებინა მემამულის მიმართ ზოგიერთი მოვალეობა. თუმცა მანიფესტი მას პირად თავისუფლებას ანიჭებდა და ყმა ხდებოდა მოქალაქე. ბატონყმობა იმპერიაში მაშინვე არ გაუქმებულა. საქართველოში ეს პროცესი 1864 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ტფილისში და ტფილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში (გორი, თელავი, დუშეთი, სიღნაღი) ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზეიმოდ გამოაცხადეს ბატონყმობის გაუქმება. 1865 წლის 13 ოქტომბერს კი გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია), 1870 წელს- აფხაზეთში, სვანეთში კი- 1871 წელს. ამ პერიოდისათვის გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები - სასამართლო რეფორმა და საქალაქო მმართველობის რეფორმა. ნელ-ნელა თანდათანობით დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ გლეხთა რეფორმა მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ გატარდა და გლეხებმა დიდი შეღავათი ვერ ნახეს, ბატონყმობის გაუქმება მაინც პროგრესული მოვლენა იყო. თუმცა სოციალური ფონი ძალიან ცუდი და გაუსაძლისი რჩებოდა(ჯანჯღავა, 2004: 145-154).

და მართლაც, სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურაზე. ლიტერატურა და ხელოვნება განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა,

აღსდგა ქართული თეატრი, დაწინაურდა პრესა. უმნიშვნელოვანესი გარდატეხა მოხდა ყველა სფეროში(კეკელიძე(ბ), 1957: 5-7).

მე -19 საუკუნის 60-80-იანი წლები იყო გადამწყვეტი წლები ეროვნული მოძრაობის დაწყებისა, ეროვნული მოძრაობის პროგრამის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისთვის. ეს იყო ლოგიკური გაგრძელება აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულებისა. ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ უკეთილშობილეს საქმეში ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყვნენ მთელი მესამე დასი: დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. თერგდალეულები მუხლჩაუხრელად იბრძოდნენ ილია ჭავჭავაძის გვერდით. ნიკო ნიკოლაძე წერს : ეს ახალი ჯგუფი, ახალი თაობა 1861 წელს პატიოსანი გრძნობებით ავსებული შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, „...მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა, თითქმის მარტო ერთი კაცი, - ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იმ ახალი თაობისა“ (ჯანჯღავა, 2004 :131-132).

აღსანიშნავია რომ ადამიანები არ გაჩენილან მონად და ბატონად, ჩაგრულად და მჩაგვრელად. ეს უდუდესი ბოროტება კაცობრიობის ისტორიამ მოიტანა. პირველდასელთა აზრით, ამ ახალ ეპოქას უნდა მოესპო ეს დამამცირებელი დამოკიდებულება ადამიანთა შორის. „შრომა უნდა იქცეს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად და არა ერთის მიერ მეორის დამონებისა და დაგლახაკების საშუალებად. „შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის“ – ასე სწამდა ილიას“ (კეკელიძე (ა), 1957: ტ. 4, ჭავჭავაძე, 1987).

ეროვნული მოძრაობის მთავარ და საბოლოო მიზანი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. მას უნდა მიეყვანა ერი იმ საზღვრამდე, საიდანაც ამ უმთავრესი მიზნისთვის დაიწყებოდა ბრძოლა. ამისთვის ნიადაგი სწრაფად მწიფდებოდა. თანდათან რომანტიზმა გზა დაუთმო კრიტიკულ რეალიზმს, რომელმაც

ქართულ ლიტერატურაში ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა იყო. ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა თავისი განვითარების პირველ ეტაპზე შეძლო ეჩვენებინა იმდროინდელი სოციალური უკუღმართობა და გაელაშქრა მისი მთავარი წყაროს – ბატონყმობის წინააღმდეგ. ამასთან, მან შეძლებისდაგვარად აჩვენა განვითარების გზაზე მდგარი ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხური ხასიათიც.

„ჯანყი გურიაში“, ეს რომანი ეგნატე ნინოშვილის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც გადმოგვცემს, მწერლის თანამედროვე სინამდვილეს, არამედ ისტორიული წარსულის, ერთ-ერთ შესანიშნავ ეპიზოდს, მონობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხის მიერ წარსულში გადახდილი ბრძოლებისა. ნაწარმოების თემატიკური მასალის ისტორიული ხასიათის მიუხედავად „ჯანყი გურიაში“ იმ დროისათვის ძალიან აქტუალური ნაწარმოები იყო.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება არც ისე ხანგრძლივი დროის მუშაობის შედეგია. ის რამდენიმე წელი, რომელის განმავლობაშიც მწერალი მუშაობდა, ცრემლით და გაჭირვებით იყო სავსე. მიუხედავად ამისა მან მოახერხა და შექმნა მკითხველის გულისმპყრობელი, ღირსახსოვარი მოთხრობები. ამ მოთხრობათაგან კი გამორჩეული რომანი „ჯანყი გურიაში“ გურიის უდიდესს აჯანყებას ეძღვნება. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში ცნობილია გლეხთა ფართომასშტაბიანი რამდენიმე აჯანყება, რომელთაგან უნდა დავასახელოთ 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 და 1819 წლების ამბოხებანი იმერეთში, 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება, 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყება, აჯანყებების სერია აფხაზეთსა და სვანეთში და ასე შემდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთხსენებულ აჯანყებათა შორის ორგანიზებულობითა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებით გამოირჩეოდა გურულთა 1841 წლის ამბოხი. ეს პერიოდი მეტისმეტად მძიმე იყო ქართველი გლეხებისთვის. მეფის ჯარების მიერ, ველური სისასტიკით ჩახშობილმა ამ აჯანყებებმა,

ნათლად დაანახვა თვითმპყრობელობის „ქურუმებს“ თუ რა გრანდიოზული ძალა გააჩნია ხალხს, როცა ის იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად. გლეხთა ეს გამოსვლები სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს ატარებდა. ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა ცარიზმის კოლონიურ უღელს, ამიტომაც მასობრივი აჯანყებები, მხოლოდ დროებით წყდებოდა ერთ ადგილზე და კვლავ ახალი ძალით იფეთქებდა მეორეზე. ნინოშვილის მოთხრობები და პუბლიცისტიკა, ძირითადად სოციალურ პრობლემებს ეხება, თუმცა რომანი "ჯანყი გურიაში", წარმოადგენს გამონაკლისს, რადგან მასში ორი უმნიშვნელოვანესი საკითხია გაშლილი - კლასობრივი და ეროვნული მოტივები (http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/rusetis_kolonialuri_chagvrisadmi1.html#4)

მწერლის ეს ერთადერთი რომანი შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ რამდენად რეალისტური და ფაქტებზე დაყრდნობილი იყო ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება. რომანში გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყების ფონი იშლება. ეგნატე ნინოშვილს იგი დაუწერია 1888-1889 წლებში. გარკვეული მიზეზით მას ნაწარმოები თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია. პირველად რომანი მისი გარდაცვალების შემდეგ „სამწუხარო შედეგი“-ს სათაურით დაიბეჭდა 1901 წელს „კვალში“, მაგრამ მხოლოდ პირველი ხუთი თავი. პროფესორი სიმონ ხუნდაძის ცნობებით, რომანის ბეჭდვა სასტიკად აუკრძალავს ცენზორს, მასში გატარებული რევოლუციური აზრების გამო, რადგან რომანში გამოხატული თვალსაზრისი საფრთხეს უქმნიდა თვითმპყრობელობას, რუსეთის ცარიზმს. რომანის სრული ვერსია პირველად დაიბეჭდა 1904 წელს (ნინოშვილი,1984 :544).

ნაწარმოებში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1841 წლის აჯანყების ისტორიული ფაქტები დანახულია 90-იანი წლების რევოლუციონერი მწერლის თვალთახედვით. "ჯანყი გურიაში" როგორც აღვნიშნეთ ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელიც დაწერილია ახალგაზრდა ბელეტრისტის მიერ მისი შემოქმედების გარიჟრაჟზე. ამ რომანში ე. ნინოშვილმა შეძლო ჩვენი ერის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენის – გურიის გლეხთა 1841 წ. აჯანყების მეტად რთული და მრავალმხრივ საინტერესო სურათის დახატვა.

ავტორი არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს, რეალისტური თვალით ხედავს თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებს, პირველად ჩვენს ლიტერატურაში ფართო ეპიკურ ტილოზე ასახავს კლასობრივი ბრძოლის ნათელ სურათს.

1841 წლის გურიის აჯანყებაში გლეხებთან ერთად მთავრობით უკმაყოფილო თავადაზნაურობაც მონაწილეობს - სარგებლობს ამბოხებით, რომ თავიდან მოიშოროს ხელისუფლება, რომელიც ფეოდალურ პრივილეგიებს ზღუდავს. მეფის ჯარის მხარეს მებრძოლი აზნაურები გლეხთა შემოტევის მოსაგერიებლად დახმარებას სამეგრელოს მთავარს, დადიანს სთხოვენ, მაგრამ დადიანის ჯარი მარცხდება და აჯანყებულებს უერთდება. მეფისნაცვალი აჯანყებულთა მოკავშირე ჰასან-ბეგის მოსყიდვით ახშობს აჯანყებას (http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=89&id=1215 22.04.2019წ. გურიის აჯანყება - "ჯანყი გურიაში" (რუსეთ-საქართველოს ომის ისტორიიდან).

რომანი იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ მასში კლასობრივ-ეროვნული ინტერესების აღრევაა ნაჩვენები. როგორც ცნობილია, გურიის გლეხთა აჯანყება გურიის თავადაზნაურობამ წამოიწყო. აჯანყება თავდაპირველად მიმართული იყო თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც შესამჩნევად ზღუდავდა როგორც გლეხთა, ისე მემამულეთა უფლებებს. აჯანყების ერთ-ერთი წამქეზებელი იყო ოსმალეთის აგენტი, აჭარელი ჰასან-ბეგ თავდგირიძე. იგი ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა აჯანყებულებს, ოღონდ მათ მთელი ძალით, ენერგიულად ებრძოლათ და გურიიდან, ოსმალეთის ამ მეზობელი მხრიდან, რუსები განედევნათ. მან იცოდა, რომ მარტო თავადაზნაურობა აჯანყებას ვერ მოაწყობდა, ამიტომ მან აიყოლია გურიის ფართო მშრომელი მოსახლეობა და აამხერდა იგი. გლეხობა აჯანყების პროცესში თანდათან დარწმუნდა, რომ მისი მტერი სოციალური უსამართლობაა, რომელიც უღელივით აწევს კისერზე ხალხს, როგორც საქართველოში აგრეთვე, რუსეთშიც. ეს მტერია ბატონყმური მეფის მმართველობა. ყმა-გლეხობამ,

აჯანყების ძირითადმა ბირთვმა, ბრძოლის მახვილი ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართა. ბატონყმობის დამხობის შიშმა დააფრთხო და შეაშინა თავადაზნაურობა. იგი მალე გაეთიშა აჯანყებულ გლეხობას, მეფის პოლიციას ამოუდგა მხარში და აჯანყების ჩახშობა განიზრახა. აჯანყებულები მედგრად განაგრძობდნენ მოქმედებას. მათ დაამარცხეს თავად წერეთლის მილიციელთა რაზმი, გიორგი დადიანის მრავალრიცხოვანი ჯარი და ალყა შემოარტყეს ოზურგეთს. გამარჯვებას თითქოს წინ არაფერი ეღობებოდა, მაგრამ მეფის ჯარმა, თავადაზნაურთა დახმარებით, სისხლში ჩაახრჩო გურიის გლეხთა აჯანყება.

„მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების გეზი, რამაც ხელი შეუწყო ქართველ ხალხს კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებშიც კი გაეღრმავებინა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, საკაცობრიო პროგრესის უახლესი მიღწევებით გაემდიდრებინა თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ჩაბმულიყო ეპოქის საზოგადოებრივი მოძრაობის ფერხულში“ (გამეზარდაშვილი,1957: 73-121).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში, სწორედაც წარმოდგენილია ის ისტორიული სინამდვილე, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრების თანამდევი პროცესი იყო. კერძოდ, თვითმპყრობელობის მიერ საქართველოში ახლად შემოღებული საგუბერნიო ბიუროკრატიული მმართველობა და ქართველი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებული სასამართლო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. სამეურნეო-ფინანსური გართულებანი, მეფის მოხელეთა თავგასულობა და მექრთამეობა, რომელშიც მმართველობის უმაღლესი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, სამხედრო ბიუროკრატიის მიერ მოსახლეობის ძარცვა და შევიწროება კოლონიური ჩაგვრის პირველივე წლებში გამოვლინდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

იმ პერიოდის მოვლენათა გააზრებაში დიდად გვეხმარება კანონთა კრებულები, მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური, პედაგოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები.

უმნიშვნელოვანესი წყაროა აგრეთვე, მწერალთა, მოაზროვნეთა, ეროვნულ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის მოღვაწეთა ბიოგრაფიული და სხვა ხასიათის დოკუმენტების შემცველი კრებულები და მემუარული მასალები. სწორედ ერთ-ერთ ასეთ უტყუარ და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“.

ისტორიულად ცნობილია, რომ გლეხობა ყველაზე მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რადგან ორმხრივი უღელს ატარებდა - გლეხს საკუთარი მებატონეც უნდა ერჩინა და ამასთან ერთად უნდა შეენახა ახლო მდებარე ჯარიც. გლეხობას ჯარისთვის უნდა მიეწოდებინა სურსათი, ცხენები, ხარები, ურმები, გაეყვანა გზები. ამას გარდა გლეხობა მუდმივ გაჭირვებაში იყო დაუსრულებელი ეგზეკუციებითაც. მათი უფლება ყოველმხრივ შეზღუდული იყო. მემამულეები ყმებს უყურებდნენ ისე, როგორც უბრალო ნივთს, რომლის ყიდვა-გაყიდვის და გაჩუქების უფლება მათ ჰქონდათ. გლეხები რომლებიც ვეღარ უძლებდნენ მემამულეთაგან საშინელ მოპყრობასა და თავხედობას, ხშირად გარბოდნენ და თავს აფარებდნენ ქვეყნის სხვა კუთხეს. ასეთ შემთხვევებში მეფის მთავრობა მებატონეს ეხმარებოდა მოეძებნა და დაებრუნებინა ყმა.

თავისი რომანის ქარგის ასაწყობად ეგნატე ნინოშვილს ზედმიწევნით შეუსწავლია 1841 წლის გურიის აჯანყების მასალები, რომელთა გაცნობა მას შეეძლო გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკაში, რომელთანაც იგი მდივნად მუშაობდა 1886-1887 წლებში. გარდა ამისა, იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო აჯანყების ზოგიერთი მონაწილე, რომელთაც თვით მწერალი იცნობდა და სარწმუნოა, რომ მათი გამოკითხვით ბევრ ცოცხალ და ძვირფას მასალას შეაგროვებდა. აპოლონ წულაძის კვლევით, დასაბუთებულია, რომ ამ ისტორიული აჯანყების შესახებ ზეპირი გადმოცემები თაობიდან თაობაში გადადიოდა და ცოცხლად ინახებოდა, მით უმეტეს ნინოშვილის დროს (ნინოშვილი,1931: 289-290).

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მწერალს გულისყურით შეუსწავლია აჯანყების ისტორიული ფაქტები, მიზეზები და მოცემულ ნაწარმოებშიც სწორად აფასებს გლეხობის, მემამულებისა და მეზობელ თურქთა (რომელთა მისწრაფების გამომხატველია ჰუსეინ ბეგ თავდგირიძე) ინტერესთა სხვადასხვაობასა და მათ ხელოვნურ გაერთიანებას.

როცა რომანისთვის გურიის აჯანყების მასალებს აგროვებდა, ეგნატე დაუკავშირდა იმ ადამიანებს, რომელთაც მეტი კავშირი ჰქონდა ამ აჯანყებასთან. კერძოდ, მან წერილობით მიმართა ექვთიმე თაყაიშვილს. გარდა ამისა პირადად მოიპოვა ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერი მასალები.

მწერლის სახლ-მუზეუმში დაცულია აპოლონ წულაძის მოგონება აჯანყებასთან დაკავშირებით: „გურიის გლეხთა აჯანყებით ვინ არ იყო მოხიბლული. ამის შესახებ მსჯელობა - ლაპარაკი ერთი-მეორის აზრის გაზიარება, მოგონებათა და სხვადასხვა ეპიზოდის გადმოცემა ჩემს ახალგაზრდობაშიც იყო. ზოგისთვის ეს ჯანყი თავისი წლოვანების აღსანიშნი თარიღი იყო. მაშინ ძლიერ ბევრი ჯანყის დროს გამოთქმულ ლექსსაც ჩაურთავდა (ლექსი შეცვლილი სახით გამოყენებული აქვს ალ. ღლონტს „გურულ ფოლკლორში“):

„ბურსილოვმა წიგნი მისწერა

ლევანის ძე დადიანსო.

გურულებმა ჩხუბი მიქნა,

მე აქ ველი შენსა ჯარსო.

დადიანმა მისი ჯარი

მოაყენა მალთაყვასო,

ოცდახუთი გურულები

თავს დაესხა მეგრელთ ჯარსო.

ჩაერივნენ ერთმანეთში,

ბაწარს აბმენ ბატონ-ყმასო.

იძახიან, დადიანო,

თავს ნუ მოგვჭრი, მადლიანო.

სხვათ თუ აფერათ ვარგივართ,

ღორის მწყემსად კი ვართო“.

ეს და მისი მსგავსი ლექსები - აგრძელებს ა. წულაძე - და ლეგენდარული გადმოცემა ბევრი იყო. ცხადია, მე თუ მოვესწარ, ეგნატე მით უმეტეს, უფრო მოესწრო და პირისპირ გაეცნო ჯანყის მონაწილე პირებს. მათი პირიდან მოისმინა ჯანყის ამბავი... ცხადია, - დაასკვნის აპ. წულაძე - პროტესტის სულით გაჟღენთილ ეგნატეზე ყველაფერი ეს დიდ გავლენას მოახდენდა..."(ვადაჭკორია,2006:100-102).

აჯანყებაზეც საუბრობს დიმიტრი ყიფიანიც. მისი მემუარებიდან ვგებულობთ, რომ „1841 წ. გურიაში იფეთქა გლეხთა გრანდიოზულმა მოძარაობამ: დაიწყო ივნისის 20-ს და აგვისტოს დასასრულს აჯანყებამ მთელი რიგი სოფლებისა და რაიონების მოიცვა; მეამბოხეებს ყავდათ 3.000-მდე შეიარაღებული ძალა და ალყა შემოარტყეს გურიის ცენტრს - ოზურგეთს. ხელისუფლებამ დიდძალი სამხედრო ძალები მოაგროვა გურიაში. აჯანყებული გლეხები ვერ გაუმაგრდნენ მოწინააღმდეგეებს და 6 სექტემბერს დამარცხდნენ; საბოლოოდ გურიის გლეხობა დაამშვიდეს სექტემბრის ბოლოს, 2812 ოჯახზე მეტი დააფიცეს, 100 მეტი გაროზგეს და სხვა. გლეხთა მნიშვნელოვანი აღელვება 1861 წელსაც მოხდა გურიაში“(ყიფიანი, 1930:156 ; ავალიანი,1890:162-164).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ 1841 წ. გლეხთა აჯანყებას გურიაშია სარჩულად ედო:

1) მებატონეებსა და გლეხთა შორის მდგომარეობის გამწვავება;

2) ახალი მართველობის შემოღება და მისი ცუდი შედეგები;

3) ფულადი გადასახადის შემოღება გურიაში;"

აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ ისიც იყო, რომ გლეხობაში თავი იჩინა ღალატმა. აჯანყების ყველა მონაწილეს არ ესმოდა ბრძოლის მიზანი. ამბოხებულებში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ გაეგებოდათ რისთვის ან რა მიზნის მისაღწევად გამოსულიყვნენ და იბრძოდნენ. ,,ამ უკანასკნელთათვის რომ გეკითხათ: -- რა არის თქვენი სურვილი, რას ამჯობინებთო, ისინი გიპასუხებდნენ: - დედავ! რა ვიცი მე ! ამდენი კაცი აქანაია და მეც ვარ მათში, მეტი რაი!"

რას გვეუბნება ისტორია გურიის აჯანყებისა და მასში მონაწილეთა შესახებ? როგორც ჩანს რომანის პერსონაჟთა დიდი ნაწილი რეალური პიროვნებებია: ამბაკო შალიკაშვილი, ნაკაშიძე, ჰასან-ბეგი თავდგირიძე, ბრუსილოვი, მილიციის უფროსი წერეთელი, გიორგი დადიანი, გლეხები—თოიძე, მჭედლიძე და სხვები. რომანის დანარჩენ პერსონაჟთა უმრავლესობას სათანადო პროტოტიპები ჰყოლია. როგორც ისტორიიდან ვხედავთ ხალხის მღელვარების საერთო მიზეზი იყო ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა, სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა თვითნებობა, უშუალო მიზეზი - კანონი, რომლის მიხედვით სახელმწიფო გადასახადები 1841 წლიდან ფულადი სახით უნდა აკრეფილიყო (მუსხელიშვილი,2012).

მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ და გადასახადის რეფორმამ გაამწვავა გლეხების სოციალური ფონი, რამაც იძულებული გახადა ისინი შეექმნათ დაჯგუფებები. მაგალითად, ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი ენუქა, გოგია და

ათანასე ვადაჭკორიების ინიციატივით თავს დაესხა გადასახადების ამკრეფ გოგოსი დოროძეს, სცემეს მას და წაართვეს აკრეფილი ფული. დამნაშავეთა შეპყრობა აზნაურ როსტომ ჯაყელს დაევალა, მაგრამ მან გლეხებთან ვერაფერი გააწყო, იგი შეიპყრეს, ცალი წვერი მოპარსეს და სოფლიდან გააგდეს. ჭანჭათელმა გოგია ვადაჭკორიამ გავარვარებული რკინით დადაღა გადასახადების ამკრეფი. აღნიშნულმა ვადაჭკორიებმა აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები შემოიკრიბეს და შეადგინეს რაზმი "ფირალი", რომელიც 220-მდე კაცს ითვლიდა. ოზურგეთის მაზრის უფროსმა გლეხებს კვლავ მოსთხოვა გადასახადების გადახდა. ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს და 22 მაისს (3 ივნისს) აჯანყება დაიწყო. ივლის-აგვისტოში აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო - მასში 7200-მდე კაცი მონაწილეობდა. მღელვარებამ მოიცვა იმერეთისა და სამეგრელოს ზოგიერთი სოფელიც. 9 აგვისტოს აჯანყებულებმა ბრძოლაში დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. მალე მათ მთლიანად დაიკავეს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, სამხრეთ-დასავლეთი გურია, ოზურგეთ-ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი და ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები. მთავრობის ხელში მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრი - ოზურგეთი დარჩა. აჯანყებულებმა დაამარცხეს გურიის თავად-აზნაურთა და მთავრობის ჯარის დასახმარებლად მოსული სამეგრელოსა და იმერეთის თავად-აზნაურთა რაზმი. აჯანყებულთა წინააღმდეგ 2 464 რეგულარული ჯარისკაცი გაიგზავნა პილკოვნიკ მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით. გურიისაკენ გამოეშურა სამეგრელოსა და იმერეთის მილიცია. 5 სექტემბერს დილით, მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, ადგილობრივი თავად-აზნაურთა რჩევით, იმ მხრიდან დაარტყა აჯანყებულებს, საიდანაც ისინი არ ელოდნენ. თავდასხმამ საბოლოოდ გადაწყვიტა აჯანყებულების ბედი. ამ ბრძოლაში 60-ზე მეტი გლეხი დაიღუპა.

აჯანყების ხელმძღვანელებიდან გამოირჩეოდნენ გლეხები: აკეთის თემიდან - გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები. ლიხაურის თემიდან - ოთარ და ნიკოლოზ

თოიძეები და გოგიჩა გორდელაძე. ასკანის თემიდან - მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე. შემოქმედის თემიდან - გოგია და როსტომ მამინაიშვილები და სხვა.

შეთქმულებაში მონაწილეობდნენ აზნაურები: აბესა ბოლქვაძე, სიმონ გოგოლიშვილი, ქაიხოსრო გუგუნავა, ათარმიზა თოიძე, ლევან გოჯასპირ და სიმონ ჭყონიები, სიმონ და გოგია ქარცივაძეები და სხვა.

გურიის ამბოხების საერთო ხელმძღვანელები იყვნენ თავადები ამბაკო შალიკაშვილი და დავით გუგუნავა. აჯანყების აღმავლობის პერიოდში (აგვისტო) თავადაზნაურობა მასობრივად ჩაება მოძრაობაში და ცდილობდა იგი საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა, მაგრამ როცა აჯანყებამ აშკარად ანტიბატონყმური ხასიათი მიიღო, უმრავლესობა მთავრობას მიემხრო (დ. გუგუნავა და სხვა), მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა აჯანყების ერთგული (ა. შალიკაშვილი და სხვა). გურიის აჯანყებაში გარეშე პირი, ქობულეთის ბეგი ჰასან თავდგირიძე ვერ ურიგდებოდა გურიაში რუსეთის გაბატონებას და მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდა. იგი აჯანყებულებს შეუერთდა, მაგრამ კავკასიის მმართველობის კატეგორიული მოთხოვნით იძულებული გახდა დაეტოვებინა გურია. გურიის აჯანყება მარცხით დამთავრდა. ცალკეული სოფლის გლეხებს, რომლებიც აჯანყების ძირითად ძალად შეადგენდნენ, ერთობლივი მოქმედების წინასწარ შეთანხმებული პროგრამა არ ჰქონდათ. მეფის მთავრობამ მოძრაობის 50 მეთაური ქუთაისის ციხეში ჩასვა, შემდეგ კი სამხედრო წესით გაასამართლა, თუმცა 1842 წელს ხალხის მღელვარების თავიდან აცილების მიზნით ყველა გაათავისუფლა, მხოლოდ ამბაკო შალიკაშვილი გადაასახლეს ციმბირში (http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=89&id=1215)

რომანში შესანიშნავად არის დახატული აჯანყების ხელმძღვანელი გლეხები: ბესია, პეტრია მჭედელი, თოიძე, როსტომ მეჯიხურე და სხვები. ბესიას „გლეხების გენერალს“ ეძახიან. მიუხედავად იმისა, რომ ბესია უსწავლელი ახალგაზრდა გლეხ-კაცია,

იგი ჯანსაღად მსჯელობს, ბრძოლაში კი განსაკუთრებულ ვაჟკაცობას,სიმტკიცესა და პრინციპულობას იჩენს. იგი ნამდვილი სახალხო გმირია.

რომანის პირველ თავებშივე ბესიას უპირისპირდება გაიძვერა, ქლესა აზნაური, ანგარებითა და შურით სავსე ივანე. როდესაც ივანემ მისნაირი სულით მახინჯი მსახურისგან კოზიასაგან შეიტყო, აზნაურ სიმონს ბესიას და, ულამაზესი მანა უყვარსო, „სახე ბოროტად გაუღიმდა, მისი წვიტ-წვიტი ნაცრისფერი თვალები შეთამაშდნენ, ეტყობოდა რომ ამ ნახევრად მოხუცებულ აზნაურს რაღაც ეშმაკურმა ფიქრებმა გაუთამაშეს გულში“ (ნინოშვილი,1984:375). რომანის შემდგომი განვითარებიდან ვიცით, რომ უმანკო მანა ამ „ეშმაკური ფიქრების“ დაუნდობელი მსხვერპლი გახდა.

ბესიასა და ივანეს დაპირისპირებით მწერალი ორი კლასის ინტერესთა ურთიერთშეჯახებას გვიხატავს. მართალი, პირდაპირი და გამბედავი ბესია ხალხის დიდი მხარდამჭერია, რითაც იგი აჯანყებულთა სიყვარულსა და მხარდაჭერას მოიპოვებს. მლიქვნელი ივანე პირდაპირი მოქმედებით ბესიას წინააღმდეგ ვერაფერს ხდება. გავიხსენოთ აჯანყებულთა შეკრება „მუხიან მერეში“, სადაც სამიათასამდე კაცს მოუყრია თავი. ამ მასობრივი სცენიდან მკითხველი ნათლად ხედავს, თუ როგორ დაამარცხა ბესიამ ივანე საჯარო პაექრობაში. რადგან ივანეს აჯანყებულთა მეთაურობა სურდა, სხვებს ცილს სწამებდა. მაგ. ამბაკო შალიკაშვილის შეკრებაზე არყოფნის გამო გაიძახოდა: „თქვენც ხედავთ ამბაკომ გვიღალატაო“ (ნინოშვილი, 1984:404) . თუმცა კამათში ჩაერია აზნაური სიმონი, ბესიას უერთგულესი მეგობარი, მისი დის მანას საქმრო, რომელმაც აჯანყებულ გლეხობას ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. მაშინ ივანემ შეურახყო სიმონი: აზნაურის სისხლი და ნამუსი ყაზახის კახპა გოგოს შესწირეო. სიმონმა თოფი სროლა დაუპირა ივანეს, ივანეს კოზია გამოესარჩლა, სიმონს- ბესია. ხალხმა მალე ორივე მხარე თითქოს დააწყნარა, შეარიგა, ივანეს ბოდიში მოახდევინა ბესიას წინაშე, მაგრამ სიტუაცია მაინც დაძაბული დარჩა.

აჯანყებულთა ბანაკში ჩანს გურიის სოფლებში ყველასათვის კარგად ცნობილი „ჭკვიან-სულელი“ პეტრია სალოსი, რომელსაც თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით ერთგვარი მხიარული განწყობილება შეაქვს ხალხში. პეტრია სალოსის გამოჩენა აჯანყებულთა ბანაკში თავისებური მხატვრული ხერხია ნაწარმოებში შექმნილი დაძაბული ვითარების შესარბილებლად. აქ ჩანს მწერლის უნიკალურობა. იგი სულელის პირით ლაპარაკობს ხუმრობა-ნარევ სიმართლეს.

პირდაპირ ბრძოლის გზით, რომ ვერას გახდება, ივანე გადაწყვეტს დრო იხელთოს და ღალატით მოკლას აჯანყებული გლეხების მეთაური ბესია და მისი მეგობარი სიმონი. ეს ეპიზოდი რომანში ერთ-ერთი ტრაგიკული მონაკვეთია. რუსის ჯარმა ალყა შემოარტყა აჯანყებულებს, ჰასან-ბეგიც თავად-აზნურობამ გადაიბირა და ქრთამის დაპირებით ააღებინა ხელი რუსების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ბესია და მისი ამხანაგები იმედს არ კარგავენ და ტყეში ჩასაფრებულნი ებრძვიან მტერს. სწორედ ამ დროს ივანე და მისი შინაყმა კოზია ზურგიდან მიეპარებიან მათ და კლავენ ჯერ ბესიას, მერე კი სიმონას. ამის შემდეგ აჯანყება მარცხდება. ამ ეპიზოდით კარგად ჩანს რა დიდი და მიუტევებელი ცოდვაა ხალხის ღალატი, იგი ქვეყნის წინსვლის ხელისშემშლელი დაუძლეველი ბარიერია.

ქართული ლიტერატურის მკვლევართა ერთი ნაწილისათვის სადავო არის რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის, გიორგის სახე: შეიძლებოდა თუ არა გასული საუკუნის 40-იანი წლების ქართულ სინამდვილეში რეალურად ყოფილიყო გიორგის იდეების მატარებელი ინტელიგენტი? ავტორმა 40-იანი წლების ქართველ ინტელიგენტს თავისი დროის რევოლუციური იდეები ხომ არ მოახვია თავს? დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი ორმოციანი წლების ტიპიური პიროვნებაა. იგია თავადის უკანონო შვილი, რუსეთში განსწავლული, თითქოსდა რუსეთის ორიენტაციის მომხრე, რომელიც კარგად იცნობს საფრანგეთის დიდ რევოლუციას და რუსეთის დეკაბრისტულ მოძრაობასაც.

რომანის დასაწყისში გიორგი სკეპტიკურად არის განწყობილი აჯანყების მიმართ და რჩევისათვის მასთან მისულ ჯანყის მოთავეებს ურჩევს: „რუსების“ განდევნაზე თქვან უარი და იზრუნონ ბატონყმობის მოსპობასა და გადასახადების შემსუბუქებაზე. საბოლოოდ გიორგი აჯანყებულთა მხარეზე დაგება და „სამეორედღისო“ და „სამერმისო“ გეგმების შედგენას იწყებს. აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელ ამბაკო შალიკაშვილთან საუბარში გიორგი რესპუბლიკელად გვევლინება: „-მერე, გიორგი, რავა უნდა ვქნათ, ქვეყანას ვინ ეპატრონოს?- თუ კი სასწაული მოხდება და ჩვენი გლეხკაცობა თავადაზნაურობას და რუსებს მოერევა, მერე რესპუბლიკური მმართველობა დავაარსოთ, ესე იგი, აღმოვარჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივანდოთ ხალხის მართვა. შემდეგ, როცა ამათ მინდობილობას ვადა შეუსრულდება, სხვები ამოვირჩიოთ, ამათ შემდეგ კიდევ სხვები და ასე უნდა იქნეს შემდეგშიაც“ (ნინოშვილი,1984:458).

მინდა ავღნიშნო, რომ მწერლისგან შემთხვევითი არ უნდა იყოს მთავარი მოქმედი გმირისთვის სახელი - გიორგის დარქმევა. შესაძლოა იგი წმინდა გიორგისთან აიგივებდა გიორგის პერსონაჟს. სახელ გიორგის შეეძლო რწმენა გაეძლიერებინა და ძალა მიეცა აჯანყებულთათვის და მათი უსიტყვო ნდობა მოეპოვებინა. განუზომელია წმინდა გიორგის მნიშვნელობა ქართველებისათვის. მით უმეტეს გურულებისთვის. საქართველოში ყველამ იცის ტროპარი წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა, ძლევამოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგისა: *„ტყვეთა განმათავისუფლებელო, და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღუაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს. ამინ!“ (http://m.geotimes.ge/news.php?news_id=34680)*

წმინდა გიორგი გურიაშიც მთავარი სალოცავი წმინდანის კულტი იყო და დღემდე არის. თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, სიმართლისა და გამარჯვების სიმბოლო, ქართველი კაცისთვის სანუკვარი იდეალების გამომხატველია. ამიტომ

გასაკვირი არაა, რომ გურიაში კერძოდ შემოქმედის ეპარქიაში 27 ეკლესია-მონასტერია წმ. გიორგის სახელობის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - **დვაბზუს** წმიდა გიორგის შობის ტაძარი; **დვაბზუს** წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი; **დვაბზუს** წმ.გიორგის ტაძრის ნანგრევები; ბაღდადის წმინდა გიორგის ტაძარი; მზიანის წმიდა გიორგის ეკლესია; **გომის** წმიდა გიორგის ტაძარი; **აჭის** წმიდა გიორგის ეკლესია; ექადიას წმიდა გიორგის სხელობის საკათედრო ტაძარი; ექადიის წმ.გიორგის სახელობის მონასტერი; **კონჭკათის** წმიდა გიორგის ეკლესიის ტაძრის ნანგრევები; **ცხემლის ხიდის** (ლომისკარის) წმიდა გიორგის ეკლესია; **შემოქმედის** (გორისფერდი) წმიდა გიორგის ტაძრის ნანგრევები; **შემოქმედის წითელი მთის** წმიდა გიორგის ეკლესია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - **დაბლაციხის** წმ. გიორგის ტაძარი; **იანეული**ს წმ. გიორგის ტაძარი; **ხიდისთავის** წმ. გიორგის ტაძარი; **წიფნარის** წმ. გიორგის ტაძარი; **ჩომეთის** წმ. გიორგის ტაძარი; **თავსურების** წმ. გიორგის ეკლესია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - **ნიგვზიანის** წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტერი; **ჯიხეთის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი; **ჭყონაგორა** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ; **ნიგოითი** წმ. გიორგის (მშენებარე)სახელობის ტაძარი; **შუხუთი** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი; **აცანის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი; **მამათის** წმ. გიორგის სახელობის ტაძარი; **გრიგოლეთის** წმ. გიორგის და წმ ნატალიას სახელობის ტაძარი და მონასტერი. ზუსტად ამით აიხსნება გურიაში გიორგის სახელზე აშენებული სალოცავების სიმრავლე. (http://www.gurianews.com /article/mtavari/sazogadoeba/ shemokmedis-eparkiashi-27 - tsmida- giorgis - eklesia-monasteria)

ამ რომანში, ისე როგორც თავის სხვა დანარჩენ მოთხრობებში, ნინოშვილი გვიხატავს რეალურ ტიპებს. მისთვის სრულიადაც არაა დამახაისათებელი გმირების იდეალიზაცია, მათი ხასიათების შეფერადება. ავტორისათვის ყველა გლეხი როდია პატიოსანი, სათაყვანებელი. ბესიას, პეტრია მჭედლის, როსტომ მეჯიხურესა და სხვათა გვერდით მოქმედებენ: კოზია, ივანიკა, ჯიჯეიშვილი, ძნელაძე და სხვები. ეს უკანასკნელნი,

სიუჟეტის მიხედვით, არ ერიდებიან არც ჯაშუშობას, არც ღალატს და არც სხვა რამ უმსგავსოებას. ავტორის შეხედულებით არც ყველა თავადიშვილია ჯალათი, გულქვა და რეგვენი. უნამუსო ივანეს გვერდით არის პატიოსანი, სამართლიანი სიმონი. ამბოხის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ისტორიულად რეალური პიროვნება, თავადი ამბაკო შალიკაშვილი, რომელიც მწერალმა შესანიშნავ ვაჟკაცად და ხალხის უდიდეს გულშემატკივრად დახატა. როდესაც თავადმა დათამ ივანეს მიერ განგმირული ბესია დაინახა, მიუახლოვდა მის გვამს და ნიშნის მოგებით წარმოთქვა: „აა, გლეხების გენერალი მოუკლავთ! რაღა ეშველება ამბაკო შალიკაშვილს, თანაშემწე რომ აღარ ეყოლება აწი?“ (ნინოშვილი,1984 :470) როგორც ვხედავთ, ეგნატე ნინოშვილი შორს დგას იმ მხატვრულ-იდეური პრინციპებისაგან, რაც დამახასიათებელი იყო ხალხოსანი მწერლებისათვის. რომანის ისტორიული ეპიზოდები მწერალს სიუჟეტურად დაკავშირებული აქვს საკუთარი ფანტაზიით შექმნილი ორი სამიჯნურო ისტორიით. კერძოდ ეს არის, ერთი მხრივ, მანასა და სიმონის, ხოლო მეორე მხრივ, გულოსა და გიორგის სევდიანი სიყვარულის ამბავი.

“ჯანყი გურიაში” იწყება მანასა და სიმონის პაემანით, „იალონზე“ ბაღში მანას სახლთან ღამის სიბნელეში პაემანის მეთვალყურედ მხოლოდ ერთგული ყურშა როდი დგას, როგორც ეს შეყვარებულ წყვილს ჰგონია. შეყვარებულთა შეხვედრებს თვალყურს ადევნებს აზნაურ ივანეს შინაყმა კოზია. იგი აჩრდილივით თან სდევს ტრფიალთ. ღალატით სიმონისა და ბესიას დახოცვის შემდეგ კოზია და ივანე ღამით, მოტყუებით იტაცებენ მანას და ნამუსს ხდიან. უდავოდ შემზარავია მანას გამოჩენა რომანის ფინალში, იგი, ერთ დროს ლამაზი და თვალწარმტაცი, ახლა გამხდარი, თვალებჩაცვენილი, თმაგაწეწილი და ტანსაცმელშემოფლეთილი, შეშლილი დაწანწალებს სოფლის ყანებსა და ორღობეებში, თან ბრიყვულსა და უშვერ სიტყვებს წამოისვრის. „ამ შესაბრალისი ადამიანის დანახვაზე და მის ბრიყვულ ლაპარაკზე ხარხარებდა ხალხი“(ნინოშვილი,1984:485)- ვკითხულობთ რომანის დასასრულს.

ანალოგიური ტრაგიზმის შემცველი, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო რთული და საინტერესოა გულოსა და გიორგის რომანი. გიორგის თავის ღვიძლ დად მიაჩნდა ფაქიზი სულის გულო, ამიტომ მას ეუცხოებოდა და ეუხერხულებოდა გულოს განსაკურებული დამოკიდებულება მისადმი. იგი გრძნობდა, რომ მისდამი გულოს სიყვარული არა ჰგავდა და-ძმურ სიყვარულს, და სწუხდა. როდესაც გიორგიმ მრავალი წლის დაფარული საიდუმლო შეიტყო, რომ იგი თავადის უკანონო შვილია, მანაც მთელი თავისი არსებით შეიყვარა გულო. მათ ცოლ-ქმრობის პირობა დასდეს. თავადის ქალი გულო თავდავიწყებამდე გაიტაცა გიორგის განათლებამ, მისმა პროგრესულმა და ჰუმანურმა იდეებმა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ გიორგი იძულებული შეიქმნა ოსმალეთში გახიზნულიყო. თუმცა იქ იგი რუსეთიდან შემოპარული ჯაშუში ჰგონიათ და სიკვდილით სჯიან. გიორგის ლოდინითა და სიყვარულის უსაზღვრო სევდით გულო ჭლექით სნეულდება და ის სიცოცხლეს საყვარელი არსების მოლოდინით სავსე ეთხოვება.

რომანში ასახულია ორგანიზებული ბრძოლა იმდროინდელი წყობის წინააღმდეგ, თანაც კლასთა ბრძოლის იდეა ეროვნულ მომენტთანაა შეჯახებული და გადახლართული, თუმცა აშკარა ჩანს, რომ ავტორი კლასთა ბრძოლის იდეის მხარეზეა. ამ მხრივ ნინოშვილი პირველი მწერალია, რომელსაც აქვს არა მარტო ალღო, არამედ კლასთა ბრძოლის თეორიის შეგნებაც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, აშკარაა, რომ ეროვნული გადასახედიდან არის დანახული სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების საჭიროება, რადგან ნინოშვილი ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გარდაქმნას სახავს ეროვნული წინსვლის უმთავრეს პირობად. ამდენად, მის ნაწერებში სოციალური გარდაქმნა, არსებული წყობით უკმაყოფილება, ეროვნული სულის გაჯანსაღების მოთხოვნილებებითაც არის განპირობებული.

ერთი საინტერესო დეტალიც რომანიდან,, ჯანყი გურიაში“. რომელიც ისევ და ისევ ნინოშვილის იდეოლოგიაზე მიუთითებს: ესაა კლასობრივი სოლიდარობის იდეა. გავიხსენოთ ფაქტი, როდესაც გურიის თავად აზნაურობამ დახმარებისათვის დადიანს მიმართა და ამ უკანასკნელმაც სამეგრელოს თავადაზნაურთა წინამძღოლობით წამოიყვანა აჯანყებული გურიელების წინააღმდეგ 12 ათასიანი ჯარი - ფაქტიურად, მთელი მეგრელი გლეხობა. „პაწია გურულებს ისეთ საქმეს დავაყენებ, რომ ცხრა წელს მათ ქვეყანაში არც მამალმა დაიყივლოს და არც ძაღლმა დაიყეფოს!“ (ნინოშვილი, 1984:446) - იქადნება ახალგაზრდა თავადი ოტია ჯაიანი. სულ სხავაა მეგრელი გლეხების დამოკიდებულება ამ ლაშქრობისადმი. „ჩვენი მთავრები ძველთაგანვე დაჩვეულნი არიან ადამიანთა დახოცვას. ვინცხამ ბარათი მომწერა, წადით ახლავე ან გურულები დაჟლიტეთ, ან თავი შეაკალითო, გვიბრძანა. წამოვედით ამდონი კაცი, ზოგი და ზოგი ტყვიამ მოკლა და დანარჩენს შიმშილი ხოცავს! მას რა დარდი აქ. რა ეტკინება ჩვენი სიკვდილით! ჩვენი შვილები დარჩებიან მომსახურეებათ. რომ მოვახსენეთ: ბატონო, არა ჯობს გურიის დამტერებაო, გაგვიწყალა, თქვენ ვინ გკითხავსო. აგია სამართალი! სასიკვტილო საქმეზე გაგზავნიდეს კაცი და გეუბნებოდეს, ენის თქმა შენი საქმე არ არის, ისე წადიო!“(ნინოშვილი,1984:454).

კიდევ უფრო ზუსტად გამოხატავს ამ აზრს გურული გლეხი: „დედავ, რომ ვწყვეტთ ერთმანეთს, ერთი თქვენი ბრალი მერე როის ყოფილა, თქვენი მთავრის დადიანის ბრალი იყო, იმას რომ არ მოეყვანეთ, ჩვენში რა იყო საჩხუბარი?... შენ შენი ქვეყანა გეყოფა და მე ჩემი“ (ნინოშვილი,1984:454).

აღნიშნული ამონარიდები გვაძლევს ზუსტ წარმოდგენას გლეხთა ნაფიქრალის გაგებისა და გაანალიზებისთვის, გლეხთა კლასის საერთო გულისთქმის, კლასობრივი ერთიანობის თვითშეგნების გამოცოცხლების კუთხით.

შინაომები, რომელიც ბობოლა თავადთა გამდიდრებისა და პოლიტიკური გაძლიერების საშუალება იყო და არა ერთი ქართველი მწერლის გულისტკივილის საგანი

გამხდარა, რაც დღესაც იწვევს ჩვენში სიბრალულს ამ დიდთავადთა უკან მდგარ საკუთარი ბედის გამგებლობას მოკლებული გლეხების, რომელთაც ერთმანეთთან მეზობლური, მშვიდი დამოკიდებულება ეწადათ, თუმცა ერთი სასტიკი და ულმობელი ბედის მოზიარენი იყვნენ. ამ ფაქტის დანახვა მხოლოდ რევოლუციური მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე იქნა შესაძლებელი. ამ კუთხითაც როგორც ვხედავთ, ე. ნინოშვილმა თქვა თავისი სიტყვა. მწერალს კარგად ესმოდა, რომ ბრძოლა ეფექტურია მხოლოთ ძალთა ერთიანობის პირობებში. კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია არა სხვადასხვა ქვეყნის ჩაგრულთა სოლიდარობაზე არამედ შინაგან კლასობრივ კავშირზე.

ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ-ლიტერატურული პრინციპები უშუალოდ გამომდინარეობენ მისი პროგრესულ-დემოკრატიული იდეებიდან. ნინოშვილს მიაჩნდა, რომ მხატვრის შემოქმედება ფუჭია, თუ იგი საზოგადო საქმეს არ ემსახურება, ხოლო მწერალი თავისი დროის მესიტყვე, მშრომელი ხალხის მოჭირნახულე, მისი ტკივილების, მისი მისწრაფებების გამომხატველი უნდა იყოს. მისი მხატვრული სიტყვა ხალხის კეთილდღეობისათვის საბრძოლო იარაღად უნდა იქცეს. ნინოშვილის აზრით: „მოთხრობების მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასდროს არ უნდა აიღოს თავისი, მოთხრობის დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები... უნდა იხატებოდეს მოთხრობაში“ (ნინოშვილი,1960: 312). ამ პრინციპით ცხოვრობდა იგი, ცხოვრების ბოლომდე. ეგნატეს სურდა უკვდავეყო გურიის ეს დიდებული აჯანყება და სამუდამოდ შემოენახა შთამომავლობის მეხსიერებაში და შეძლო კიდეც. რომანი დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ. მის პოპულარულობას ასევე ხელი შეუწყო იმანაც რომ ამ ნაწარმოების მიხედვით 1928 წელს გადაღებული იქნა მუნჯური მხატვრული ფილმი "ჯანყი გურიაში"

თავი III. „ხალხის ტკივილებით გამსჭვალული გული“ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით

XIX საუკუნის ქართული ჰუმანისტურ-რეალისტური, შეუფერავ-რეალისტური და ხალხოსნურ-რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს ეგნატე ნინოშვილის (1859 – 1894 წწ.) შემოქმედება. ნათქვამია შემოქმედის გზა არანაკლებ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე გზა მოწამისა. და მართლაც, რთულია დავასახელოთ მწერალი ქართულ ლიტერატურაში, ვისაც ისეთი უაღრესად მოწამებრივი ცხოვრება არგუნა ბედმა, როგორიც ჰქონდა ეგნატე ნინოშვილს. ახალგაზრდობიდანვე ურყევი სულით გამსჭვალულმა, უკომპრომისო ხასიათის მქონე ეგნატემ ღარიბი ინტელიგენტის მძიმე ცხოვრების გზა განვლო. განუწყვეტლივ ლუკმაპურის ძიებაში მყოფი მწერალი, გადადიოდა საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში, მცირე ხნით აგრეთვე საფრანგეთში მოგზაურობისა და საზოგადოების სხვადასხვა წრეში მოღვაწეობის შედეგად ცხოვრების მდიდარი გამოცდილება შეიძინა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. სამწერლო ასპარეზზე

ეგნატე ნინოშვილი 1887 წელს გამოვიდა. იგი უფრო სამოციანელ განმანათლებელ და ხალხოსან მოღვაწეებს ჰგავს, ვიდრე 40-იანი წლების ქართველ ინტელიგენტს. არსებობს მოსაზრება, რომ იგი სავსებით არასდროს განთავისუფლებლა განმანათლებლურ-ხალხოსნური შეხედულებებისაგან. ნინოშვილი ილია ჭავჭავაძის ცალკეულ იდეებს თავის პუბლიცისტიკის ეპიგრაფად იყენებდა, აღიარებდა კაპიტალიზმის აუცილებლობას და ხალხოსანივით ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, სადაც შრომის ნაყოფი დარჩებოდა თვით მშრომელს და მთელ ერს წაადგებოდა. უნდოდა საზოგადოების ყოველ ნაწილს თანასწორად შეეძლებოდა ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად განვითარება. სწორედ ამიტომ მისი გმირებიც არიან ჰუმანისტ, რადიკალ და ხალხოსან რეალისტთა გმირების მსგავსნი, თუმცა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებში მეტი ობიექტურობაა დაცული, დაგმობილია სინამდვილის ყალბი რომანტიზაცია (“ჯანყი გურიაში”) და სოფლის ხალხის იდეალიზაცია, ნაჩვენებია გლეხობის დანაწილების შედეგად კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება და ახლადფეხადგმული ქართველი ბურჟუაზიული კლასის უპერსპექტივობა (“პალიასტომის ტბა”, “სიმონა”), ქართველი თავადაზანურობის და ბიუროკრატიულ მოხელეთა საბოლოო გახრწნა ყალბი განათლების თუ საკუთრების კულტის პირობებში (“ჩვენი დროის რაინდი”, “ქრისტინე”, “მოსე მწერალი”).

მისი პროზის უმთავრეს საგნად დამკვიდრებული პიროვნული და ფილოსოფიური ,,სადარდებელი“ იმ მარადიული პრობლემების წიაღში იღებს სათავეს, რომელიც დასაბამიდან აწუხებს სიცოცხლის არსზე დაფიქრებულ ადამიანს.

თუმცა აქვე უნდა ღინიშნოს, რომ მიუხედავად ამდენი სევდისა და ნაღველისა, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების გმირები მაინც არ არიან ბოლომდე უიმედოდ ფარხმალდაყრილი. ეს მორჩილი, უმწეო და უსუსური პიროვნებები, თუმც საკუთარ არსებაში შინაგანად ამბოხებული, განგებისა და ბუნების მკაცრი ბედისწერის წინააღმდეგ ძგერს გული, ვინც ცხოვრებას შეგნებულად არ ღებულობს ისეთად, როგორადაც ისაა მოწყობილი. ასე რომ, მწერალი არა მხოლოდ საკუთარი, პიროვნული ბედისწერის

წინააღმდეგ იბრძვის, არამედ ზოგადად ცხოვრების ტრადიციულად დამკვიდრებულ წესსაც უჯანყდება.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებიდან ვასკვნით, რომ ბიუროკრატიულ-პოლიციურ და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მარტო მაღალი წრეები კი არ იყვნენ დაავადებულნი, არამედ მთელი სოციუმი საჭიროებდა გადახალისებას და გარდაქმნას. მწერალი ცდილობდა ჰუმანური გრძნობები გაეღვიძებინა 90-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში, გამოეწვია სიბრალულის გრძნობა უსამართლოდ დაჩაგრული ხალხისადმი და განედევნა - მჩაგვრელებისადმი ლიტერატურის სიძულვილი (ქიქოძე,1965: 329; ნინოშვილი,1935: 57; კეკელიძე, 1957).

ეგნატე ნინოშვილი მშრომელი ხალხის წიაღიდან იყო გამოსული. მან მთელი თავისი ცხოვრება ჭაპანწყვეტაში გაატარა. იგი დიდი ჯაფით, დამქანცველი ფიზიკური შრომით შოულობდა ლუკმა პურს, როგორც საერთოდ ყველა მშრომელი ადამიანი. მას ცხოვრების შესასწავლად არ დასჭირვებია „ხალხში გავლა“ და თვალყურისდევნება. იგი მუდამ ცხოვრების ორომტრიალში იყო ჩაბმული და ეს დიდი, მკაცრი სიმართლე, რომელითაც სავსეა მისი მოთხრობები, ნინოშვილის შემოქმედების უპირველესი ღირესებაა. მისი ცხოვერების აზრი იყო დაეწერა მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და უშუალოდ განცდილი, ეწერა მხოლოდ ხალხზე, რომლის შვილიც და რომლისთვის თავდადებული თავად იყო. არსებობს ეგნატე ნინოშვილისა და მაქსიმ გორკის შეხვედრის ეპიზოდი. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ეგნატე ნინოშვილი უკვე ცნობილი მწერალი იყო, მაქსიმ გორკს, როგორც მწერალს არ იცნობდნენ. გორკმა თურმე შენატრა ნინოშვილის იმ სიყვარულს რასაც ხალხი ამჟღავნებდა ეგნატესადმი. „შენც დაწერე შენი თავგადასავალი, რაც გინახავს და გაანგიცდია და მაშინ ნახე, როგორ გაგიცნობენ და შეგიყვარებენო“,-უპასუხია ნინოშვილს. ამ პასუხიდან ჩანს თუ რას თვლიდა ნინოშვილი ხალხის სიყვარულის მოპოვების ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს გზად. (გვერწითელი,1984:4)

ეგნატე ნინოშვილის თითოეული მოთხრობა არის რეალურ ცხოვრებაზე დაფუძნებული და შეუძლებელია არ მიიპყროს მკითხველის ყურადღება. წაკითხვის შემდეგ კი სამუდამოდ რჩება მის გონებაში. მწერლის პატარ-პატარა მოთხრობები, ერთად აღებული, ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა სხვადასხვა მხრივ არიან შევიწროებულნი სოფლის მშრომელები. მეფის რუსეთის ჩინოვნიკობა, ადგილობრივი თავადაზნაურობა, სხვადასხვა მოხელეები და ჩარჩ-ვაჭრები, თვით გლეხობის წრიდან ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წყალობით გამოყოფილი გაიძვერა, ვერაგი და დაუნდობელი ადამიანები, ყველა თავის მხრივ, ნელ-ნელა და გულმოდგინედ უხუთავდნენ სულს სოფლის საწყალ მოსახლეობას. სწორედ ამის ნათელ სურათებს წარმოადგენს ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება.

თვალი რომ გადავავლოთ ე. ნინოიშვილის მოთხრობებს, ესაა 80-90-იანი წლების გურიის უტყუარი სურათი. უტყუარი იმდენად, რამდენადაც ნინოშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები რეალურ ფაქტზეა აგებული და თითქოს ყველა გმირს თავისი რელური პროტოტიპი ჰყავს. ამ გარემოებაში თავს იჩენს ე. ნინოშვილის, როგორც მხატვრის, თავისებურება, მისი მხატვრული პროდუქციის პუბლიცისტური არსი. ამ პროდუქციის არა მხოლოდ მხატვრული, არამედ დოკუმენტური სიმართლე.

კონკრეტულად რა ვითარებას გვისახავს ე. ნინოშვილის შემოქმედება და ვინ არიან მისი მოთხრობების გმირები? პირველ რიგში, ესაა ფეოდალური წყობის ნაშთები და მისი წარმომადგენლები, რომელთა უსაქმურობა და ამორალობა გურული გლეხების უბედურების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

ყურადსაღებია მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რომელიც დაწერილია 1893 წელს. მოთხრობის დასაწყისში სიუჟეტი ვითარდება მატარებლის სადგურზე იწყება აზნაური ტარიელ მკლავაძის აღწერით. მკითხველი მაშინვე ხვდება თუ ვისთან აქვს საქმე. მკლავაძე ამ ეკონომიკურად განადგურებული, ცხოვრებაში ადგილდაკარგული კლასის შვილია, მაგრამ მისი ფსიქიკა ჯერ კიდევ ძველებურ ყაიდაზეა აწყობილი. ესაა უქნარა,

ფუქსავატი, უზნეო ახალგაზრდა, რომლის მოქმედებას საფუძვლად უდევს დევიზი „მე მინდა“. სახელი „ტარიელი“ მამამ შეარქვა ვეფხისტყაოსნის გმირის ტარიელის მიბაძვით. სამწუხაროდ, „მკლავაძის“ განათლება დიდებული პოემის ირგვლივ იმით ამოიწურებოდა, რომ მან იცოდა: ტარიელი უძლიერესი ვაჟკაცი იყო, რომელმაც „კაცი კაცსა შემოსტყორცნა“. მკლავის ძალითა და თავხედობით ტარიელი მიწასთან ასწორებდა ყველას, ვინც მის სურვილებს აღუდგებოდა წინ, ასე დააანგრია და ფეხქვეშ გათლა მან სოფლის მასწავლებლის, სპირიდონ მცირიშვილის, ოჯახური ბედნიერება და თვით სპირიდონისა და მისი მეუღლის ადამიანობა. გააუბედურა და სიცოცხლე მოუსპო ახალგაზრდა წყვილს.

სპირიდონ მცირიშვილი დემოკრატიული ინტელიგენციის ის წარმომადგენილია, რომელიც სწორედ ამ პერიოდში საზოგადოებრივ ასპარეზებზე ჩნდება. იგი მაღალი იდეალების მატერებელი პიროვნებაა, რომელიც საზოგადო აზრებით და განცდებით ცხოვრობს, საყვარელ ცოლთან ერთად. „ხშირად თავდავიწყებამდე გაიტაცებდა ზოგიერთი ამბავი, რომელშიც კეთული საქმისთვის თავგანწირვა იყო გამოხატული. ერთხელ ერთი ამბავით გატაცებული დესპინე მოეხვია ქმარს ყელზე და აღტაცებით თვალზე ცრემლმოდენილი ეხვექებოდა: - სპირიდონ წავიდეთ ჩვენც, ჩვენც ისე შევწიროთ თავი ხალხის წარმატებისათვის ბრძოლას! (ნინოშვლი,1984:232) ამავე დროს ფაქიზი სულის შეუდრეკელი და უკომპრომისო ადამიანია. ამ გმირის მსგავსება ე. ნინოშვილთან „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გამოქვეყნებისთანავე იქნა შენიშნული. მსგავსებას ნინოშვილიც ადასტურებს თავის მეგობრის ალ.თოიძისადმი მიწერილ წერილში: „მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი, მცირიშვილი, ერთ ჩემს ნაცნობს ჰგავსო, ამბობ, რაღა, მოთხრობის ავტორს? მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი, მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“ (ნინოშვილი,1954 :586).

მიუხედავად ამ ახალი ტიპის (სპირიდონ მცირიშვილის) პროგრესულობისა, მისი კონფლიქტი მკლავაძესთან მარცხით მთავრდება. ზუსტად აქაა თავი და თავი ამ თხზულების მამხილებელი პათოსისა: მკლავაძეების დრომოჭმულ, რეაქციულ ბუნებას ჯერ კიდევ შესწევს ძალა და უნარი დასაწყისშივე მოსპოს პროგრესისა და წინსვლის ჩანასახი, რომელიც ეს-ესაა იბადება საქართველოს ცხოვრებაში. „ჩვენი ქვეყნის რაინდში“ ვხედავთ, რომ ქართულ სინამდვილეში ცხოვრების ეროვნული წესის ცვლამ გარდაუვალი გახადა რაინდული სულისათვის მიმართულების ცვლა. ამის კვალობაზე რაინდობის სიღრმისეული სულიერი ასპექტის საპირისპიროდ წინ წამოიწია არავაჟკაცურმა ქცევამ. ეგ. ნინოშვილი, როგორც თანამედროვე ხედვის მწერალი, აჩვენებს, ადამიანის სულიერი სიცარიელის პირობებში, როგორ ხდება წმინდა, ამაღლებული რაინდული იდეალის გაუფასურება. ტარიელ მკლავაძის ცხოვრების მაგალითზე მწერალი აგრეთვე გვიჩვენებს - ლიტერატურის ცრუ, ყალბმა გაგებამ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოუტანოს ადამიანს. უკუღმართი აღზრდის წყალობით შეძენილი ფუქსავატური ცხოვრების წესი რყვნის და ზნეობრივი უფსკრულისაკენ მიაქანებს ამქვეყნად ბუნებით სასიკეთო არსებობისთვის მოვლენილ ტარიელ მკლავაძეს. ამიტომაცაა, რომ იგი საპირისპირო აზრით აღიქვამს უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან“ გმირი „ტარიელის“ ხასიათს. რაკი სულიერად შინაგანად მოუმზადებელი ხვდება ამ ნაწარმოებს, ფუყე კაცის მისვლა გენიალურ ქმნილებასთან ბოროტების წყაროც კი ხდება“ (ევგენიძე,1943: 551)

ამრიგად, ამ ნაწარმოების სათქმელიც სწორედ ეს არის. მკლავაძეს რაინდობა საპირისპიროდ ესმის, სუსტი დაჩაგროს, სხვისი ღირსება ფეხქვეშ გათელოს და ა.შ. ეგ. ნინოშვილი ნაწარმოებში გამოკვეთილად ცხადყოფს იმ აზრის ჭეშმარიტებას, რომ რაინდობა უფრო სულის, შინაგანი მეს საუფლოა, ვიდრე სხეულისა. მწერლის თვალსაზრისით სპირიდონ მცირიშვილის პერსონაჟის პიროვნულობა არის სწორედ დაპირისპირება მეშჩანურად გაგებულ რაინდობასთან. ჩვენი დროის სხვადასხვა ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის მსგავსად ეგ. ნინოშვილის სჯერა, რომ ახალი

ეპოქის სულიერი რაინდები ხალხის წრიდან გამოსული, ხალხისთვის მებრძოლი განათლებული ადამიანები არიან, რადგან სწორედ მათ ესმით ზუსტად სულიერ ღირებულებათა ფასი და შეუძლიათ მაღალ იდეალებისათვის თავის გაწირვა (იქვე,550-551).

ერთობ მნიშვნელოვანია, **ნაწარმოები „ქრისტინე“, რომელიც დაწერილია 1892 წელს** უნდა განვიხილოთ ორ სხვადასხვა ჭრილში. ის თუ როგორ შემპარავად ატყუებს ქლესა საუბრით იასონ უქმაძე ქრისტინეს გვაგრძნობინებს, რომ იგი ტარიელ მკლავაძის „ღვიძლი ძმაა“, თავისი სოციალური და მორალური სახით. სხვაობა მათ შორის უმნიშვნელო თვისებების მხრივ იჩნს თავს: ტარიელი, მკლავის, ძალის მეთოდს იყენებს, იასონი კი ტკბილ და კეთილ საუბარს. საბოლოო მიზანი ორივესი ერთია: გაერთოს, რასაც სხვისი სიცოცხლისა და პატიოსნების ფასად ღებულობს. იასონის მსხვერპლია 16 წლის ქრისტინე, სოფლის თვალი და ოჯახის სასოებაა. მწერალმა წარმოდგენილ ნაწარმოებში გვიჩვენა, რომ არსებული სოციალური გარემო ხელს უწყობს ადამიანში მხეცური ინსტიქტების გამოვლენასა. ხშირად უსაქმურობა ხელს უწყობს ადამიანებზე გაბატონებას. ასეთნი ადამიანებს ექცევიან როგორც ნივთს, რის გამოც ისინი ულმობლობისა და შეუბრალებლობის მსხვერპლნი ხდებიან. იასონის ავკაცობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ იყო ბატონიშვილი და სრულუფლებიანი მებატონე. იგი უსაქმობამ და განუზომელმა უფლებებმა ველურ ინსტიქტებს დაუმონა. ავხორცმა პირუტყვულმა ჟინმა აიტაცა იგი და ბევრი გააუბედურა, ერთ-ერთი კი საბრალო ქრისტინეა.

ქრისტინეს ტრაგედიაში ყურადსაღებია სამი მომენტი, უფრო ზუსტად - სამი მორალური ნორმა: მორალი იასონ უქმაძისა, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. მორალი XIX საუკუნის ქართული სოფლისა, რომლის მიხედვით ქრისტინე შესაძლო ბოროტმოქმედად გვევლინება (დედა რომელმაც შვილი მიატოვა) და მორალი ბურჟუაზიული ქალაქისა, რომელმაც „დახლის საქონლად“ აქცია ყველაფერი, თვით ადამიანის (ქალის) ფიზიკური არსი. 16 წლის ახალგაზრდა, გამოუცდელი ქრისტინე

იასონის ცრუ დაპირებებზე არც კი დაეჭვებულა, არც სოფელთან დაუწყია ჭიდილი და არც მაშინ როცა ნატალიამ დაუგო მახე. სრულიად უსუსური ქრისტინე ცხოვრებისათვის მოუმზადებელი რჩება ცხოვრების პირისპირ და იღუპება კიდეც.

იასონ უქმაძის სახე რომ საინტერესოა მწერლისათვის, როგორც ფეოდალური კლასის სოციალურად და მორალურად გახრწნილი წარმომადგენლისა, ეს ცხადია. მაგრამ ის ფაქტი, რომ მოთხრობას „ქრისტინე“ ჰქვია, სათაურიდანვე ჩანს, რომ ნაწარმოების ცენტრში სწორედ ქალის ხვედრის საკითხი დგას. აი ეს არის მეორე მხარე რა კურსითაც ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს მოთხრობა. მოთხრობაში ჩანს სოციალური ფონი სოფელსა და ქალაქში მცხოვრები ქალებისა და ბურჟუაზიული წყობილების მანკიერი მხარეები, რომელმაც პატიოსანი გლეხობის ინტერესები შეიწირა. არც ქრისტინე და არც მისი „დამხმარე“ სონა არ იყვნენ დამნაშავენი, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს საწუთროს დინებას. „რა უნდა ვქნათ, ჩემო ქრისტინე! აქ ძალიან ძნელი საპოვნია სამოჯამაგირო ადგილი. ათასი მშიერი ქალი და კაცი ტრიალებს ამ ქალაქში და ეძებს მოჯამაგირეთ დასადგომ ადგილს, მაგრამ მეათედიც ვერ შოულობს. მერე კიდევ შენ, სადაც უნდა დადგე მოჯამაგირეთ, ძალით იქნება თუ ნებით, ერთ დღეს მაინც ვერ აცთები იმას, რისიც ახლა ასე გეშინია. გოგოები სოფელშიც ვერ ინახავენ თავს წმინდათ, თორემ თბილისში, რა სათქმელია! ამიტომ გირჩევ, ამ თავითვე შეურიგდე ბედს. რა ვუყოთ! მეც ვიცი, რომ კაი საქმე არ არის, მაგრამ რას იზამ, ჩვენს იღბალს რომ აქ მოვუყვანივართ! არაფელია, პირველათ გაგიძნელდება, მარა ადრე შეეჩვევი. განა ჩვენ ადამიანები არა ვართ, რომ შევეჩვიეთ?“ (ნინოშვილი,1984 :195).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ეს საკითხი არა ერთი ჰუმანისტის ყურადღების ცენტრში დამდგარა. ამ თვალსაზრისით ე. ნინოშვილიც ახალი მტკივნეული სოციალური საკითხის სამსახურში აყენებს თავის კალამს. მართალია, ნინოშვილის ქრისტინე სავსებით პასიურია თავისი ხვედრის წინაშე, მაგრამ თვით საკითხის

წამოყენებასაც ამ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან ამაზე ასე ხმამაღლა საუბარი თითქოსდა ტაბუ დადებული იყო.

„გოგია უიშვილი“ ეგნატე ნინოშვილმა დაწერა 1889 წელს. პროზაიკოსმა იგი პირველად „საახალწლო პურღვინოს“ სახელწოდებით დაწერა, ხოლო მეორე ვარიანტი „გოგია უიშვილი“– 1892 წ. ეს სამი წელი ცხადყოფს ეგ. ნინოშვილის, როგორც მხატვრის, ზრდას, რადგან მეორე ვარიანტში შეტანილი ცვლილებები მიმართულია იქითკენ, რომ უფრო მკვეთრად გამოჩნდეს სწორედ ცარისტული რეჟიმის მიერ გლეხთა უკიდურესი ჩაგვრა. დიალოგს გოგიასა და მარინეს შორის, რომლითაც იწყება ნაწარმოები, უშუალოდ შევყავართ თხზულების სიუჟეტურ განვითარებაში ყოველგვარი ექსპოზიციის გარეშე. ეს ექსპოზიცია გოგიას ოჯახური პირობების ჩვენებაა, რომლითაც იწყება „საახალწლო პურ-ღვინო“, მეორე ვარიანტში, საახალწლო სამზადისი, უკანა პლანზეა გადატანილი, რითაც კიდევ უფრო მძაფრდება ნაწარმოების მამხილებელი ტონი.

„გოგია უიშვილი“-ის მოთხრობის პერსონაჟებს შენარჩუნებული აქვთ თავისი რეალური პირველსახე, რომელთა უმრავლესობასაც, მწერლის თანამედროვეთა გადმოცემით, ავტორი პირადად იცნობდა. თვითონ, გოგია უიშვილი, ამავე სახელწოდების მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, რეალურად ყოფილა ეგნატეს მეზობელი გლეხი – გოგია ხუხუნაიშვილი. იგი მთავრობის მოხელეებს უკანონოდ დაუსჯიათ, გაუმათრახებიათ და თვითმკვლელობამდე მიუყვანიათ.

ამ მცირე მოცულობის მოთხრობაში მწერალმა შეძლო დიდი სოციალური შინაარსის შემცველი ფაქტის განზოგადება. სოფელში ეგზეკუციის ჩაყენების ამბავი, რითაც „გოგია უიშვილი“ იწყება, ბევრ რამეს გვეუბნება მკითხველს. იმ დროს ფირალობა იყო გავრცელებული. მეფის პოლიციური რეჟიმისაგან, გადასახადებისაგან შევიწროებული და ფეხქვეშგათელილი პატიოსანი მშრომელი გლეხი იძულებული ხდებოდა ტყეში გაჭრილიყო და წინააღმდეგობა გაეწია არსებული წეს-წყობილებისთვის. გლეხობა ეხმარებოდა ფირალებს. მეფის ხელისუფლება კი ფირალების წინააღმდეგ

საბრძოლველად, მათ გასანადგურებლად სოფლად ჯარს აყენებდა. ეგზეკუციის ხარჯები სოფელს აწვებოდა კისერზე. “-იი ეკუცია კიდევ ჩამოუყენებიათ სოფელში!” (ნინოშვილი,1984:11)- ამბობს გოგიას მეუღლე და მოთხრობის ასეთი დასაწყისით ავტორი გვაცნობს, რომ ეგზეკუცია ახალი ხილი არ არის მათთვის. გოგია უიშვილი შეშფოთდა (ღარიბი ოჯახის პატრონი, ხუთი შვილის მამა), ეგზეკუციის დადგომის გამო, რომელიც თავისი ცოლის, მარინესაგან, გაიგო, „ბარემ ამოგვხადონ სული!“ (იქვე, 12)- სასოწარკვეთით ამბობს გოგია და მწარე დაღონებული მიუჯდება ცეცხლის პირს. გოგია უიშვილი შინაგანად პროტესტით სავსე გლეხია. ამგვარი განწყობა მასში გამოიწვია სოციალურმა ჩაგვრამ, ეკონომიკურმა სივიწროვემ და შიმშილმა. ავტორი გოგიას შესახებ გვეუბნება: „ხშირად ისეთ რამეებსაც ლაპარაკობდა, რომ მაყურებლები ამბობდნენ: ადგილზე რომ მიაწიოს ამ სიტყვებმა, გოგიას უციმბიროდ არ დაარჩენენო“(იქვე,13). ეგზეკუციის გადასახადმა გოგიას ახალწლის წინა დღით მოუსწრო. გოგია შესთხოვს ნაცვალს, ცოტა ხნით გაუგრძელონ ვადა. თხოვნის დაკმაყოფილების მაგივრად, გოგიას ოჯახს თავს ესხმიან „ყაზახები“, არბევენ, საახალწლო პურ-ღვინოს ართმევენ. როცა გოგია წინააღმდეგობას უწევს მათ ძალადობას, მას თოფის კონდახით სცემენ, შეკრავენ და ცოლთან ერთად კანცელარიაში წაათრევენ. გოგია იმედს არ ჰკარგავს და სამართალს იქ, კანცელარიაში, მამასახლისთან და მაზრის უფროსთან ეძებს: „მიპატრონეთ, ბატონო, დამიფარეთ, დამაქციეს, კალანდა დღეს მომთხარეს და გამლახეს ქრისტიანი კაცი“(იქვე, 20). შესთხოვს იგი მათ. სამართლი აქაც გაურბის გოგიას, მაზრის უფროსიც მას ადანაშაულებს: როგორ გაბედე და ჯარისკაცისადმი წინააღმდეგობის გაწევა სცადეო, ჯერ მათრახით სცემს, ხოლო შემდეგ გააწკეპლვინებს. ამასაც არ აკმარებს და, ცოლთან ერთად, სატუსაღოში ჩასვამს. გოგია ვერ იტანს ამგვარ დამცირებას და შინ დაბრუნებული, ახალწლის ღამეს თავს იკლავს. გოგიას თვითმკვლელობის აქტი მოთხრობის ბუნებრივი დასასრულია. თუმცა ყურადსაღებია ის, რომ ამბის ტრაგიკული დასასრული ავტორის მიერ წინასწარ ფსიქოლოგიურად არის

შემზადებული. მოთხრობის დასაწყისშივე მწერალი გვეუბნება, რომ „უნეგეშო მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცოცხლე და ანატრებინა სიკვდილიო“ (იქვე,13).

მწერალი ასეთი ფსიქოლოგიური მომენტებით ამზადებს გოგიას სიკვდილის სცენას. ახალწლის წინა საღამოს მაზრის უფროსმა „მოწყალება მოიღო“. ნაცემი, ფეხქვეშგათელილი, შეგინებული და მორალურად განადგურებული ცოლ-ქმარი ციხიდან გაათავისუფლებინა. მარინე იმედიანადაა და ცდილობს ქმრის გამხნევებას: „ახლა ვითამ თავი რომ დევიხოცოთ, იმით რა გაგვიკეთდება? რა უყოთ, ბევრს ჩვენზე ვარესიც დამართია!“ რამხელა კეთილშობილება და მოთმინება ჟღერს ამ სიტყვებში, რა დიდი სოციალური ქვეტექსტია დაფარული: „ბევრს ჩვენზე ვარესიც დამართია!“. თუმცა გოგიასათვის ყველაფერი გათავდა. მას არ სურს შეგინებული, დამცირებული, ფეხქვეშგათელილი, მონური სიცოცხლე. მას მოუხდა შეჯახება უხეშ ძალასთან, რომელის წინაშეც უმწეოდ დამარცხდა და ამან ყველაფერთან, ერთად სიცოცხლეც კი შეაძულა ამქვეყნად. ცხოვრების სიდუხჭირემ გოგია იმ დონეზე დასცა სულიერად, რომ საკუთარი ოჯახის წევრების ქმედებებიც კი აღიზიანებს. გაღიზიანებული გოგია მისთვის შეუფერებელ მიუღებელ საქმეებს სჩადის, რითაც გულ სტკებს ოჯახის წევრებს. ამის დასტურია მისი საქციელი ნაბოლარა შვილთან და ცოლთან. მან მასთან საალერსოდ და სატიტინოდ მისულ თავის პატარა გოგონას, გულმოსულმა ხელი ჰკრა და მუგუზლებში ჩააგდო, ხოლო მზრუნველ ცოლს, რომელმაც ვახშამი მიუტანა, ლამბაქზე ხელი აუკრა და საჭმელი ცეცხლში ჩაუყარა.

გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, მხოლოდ გოგია იჯდა ცეცხლის პირას თავჩაქინდრული და სასოწარკვეთილი ებრძოდა საშინელ ფიქრებს „ხანდახან აიღებდა თავს და გაიხედავდა იმ კუთხისაკენ, სადაც თოფი ეკიდა“(იქვე,24) - გვეუბნება მწერალი

შემდეგ შემზარავი სცენა გოგიას თვითმკვლელობისა: „ზამთრის მთვარიან ღამეში, თოფით ხელში, ეზოში ფრთხილად გასული გოგია წავიას ლეშს შენიშნავს: „ჩემი წავიეი!... რანაირად ჰკიოდა!... ალბათ, ძაან მწარეა სიკვდილი! (იქვე,24) ეზოდან სახლის

კარებისაკენ მობრუნებული გოგია წინასწარ ინანიებს ოჯახის, ცოლ-შვილის წინაშე თავის დანაშაულს: „გღალატობ ოჯახო!... გიღალატე, მარინე, დავყარე შვილები შენს ამარა და გაგექეცი...თებრო, მომიტევე, წუხელის რომ გაგლახე!... ყველამ მიუტევეთ თქვენს მოღალატე გოგიას...“(იქვე,24,25) - ისმის გასროლა. უკანასკნელი რაც გოგიამ ამოილუღლუღა, იყო: „ეკითხოს“. ამ სიტყვებში მინიშნებულია მოთხრობაში ჩაქსოვილი იდეა.

მოთხრობის ფინალი კიდევ უფრო შემაძრწუნებელია გოგიას თვითმკვლელობაზე: მარინეს ჭკუიდან შეშლა, მის მიერ დაწიოკებული ბავშვები, რომლებსაც იგი დანით დასდევს დასაკლავად, საბრალო პატარა თებრო, რომელიც ლოგინში ყელგამოღადრული გდია. გოგიას ოჯახი გაპარტახდა ბოროტ მოხელეთა შეუბრალებელი საქციელის გამო. მაგრამ კარგა ხნის შემდეგ მის ქოხში ვიღაცამ განაახლა კერა. ეს იყო გოგიას უფროსი ვაჟი. ავტორი მოთხრობას ასე ამთავრებს: „ვუნატროთ, რომ მამის ბედი აშორებოდეს და უკეთესად წასულიყოს მისი ცხოვრება“(იქვე, 27).

აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ გოგია არ ეკუთვნის ქედმოხრილ გლეხთა რიცხვს, რომელნიც მორჩილად ურიგდებიან ყოველგვარ უსამართლობას. პირიქით, იგი მეამბოხე სულის კაცია და თავისი სიტყვიერი პროტესტით არაერთხელ გამოიწვია სოფლის მმართველთა გულისწყრომა. ყაზახებსაც საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია და „კანცელარიაზედაც“ შეეცადა ემხილებინა მათი უსამართლობა, თუმცა ყველაფერი ამაო გამოდგა.

გოგიას თვითმკვლელობა არაა სულიერი აფექტის შედეგი. ესაა, წინასწარ გაანალიზებული და დაფიქრებული მოქმედება კაცისა, რომელმაც ვერ აიტანა თავისი კაცობის ფეხქვეშგათელვა, საჯარო შერცხვენა. მას შესანიშნავად ესმის, რომ ღალატობს ოჯახს და სიკვდილის წინ ფიქრით პატიებას სთხოვს ცოლსა და შვილებს. მაგარამ გრძნობს, რომ „ამას იქეთ ყოფნა არ ღირს!“ გოგიას თვითმკვლელობა პასიური, მაგრამ მაინც პროტესტია არსებული პირობების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ე. ნინოშვილმა „გოგია უიშვილში“ შეიტანა „საახალწლო პურ-ღვინოსთან“ შედარებით, არის გოგიას უფროსი ვაჟის დაბრუნება მამისეულ კერაზე ოჯახი დაინგრევის შემდეგ. აქ ერთგვარ სამომავლო პერსპექტივას ქმნის ნინოშვილი გლეხური „ფუტის“ აღდგენისას და მოთხრობის უკანასკნელი სტრიქონით უსურვებს კიდეც ამ ახალ ოჯახს უკეთეს ცხოვრებას.

ამრიგად, მოთხრობა “გოგია უიშვილი” მწერალმა წარმოადგენდა მძლავრ პროტესტს სოციალურ უსამართლობაზე აგებულ მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ. გოგიას თვითმკვლელობის ჩვენებით კი ნინოშვილმა სასტიკი მსჯავრი დასდო მეფის მოხელეთა აღვირახსნილ მოქმედებას - უხეშ ძალას, რომელსაც წინაღუდგა თავისფლებისმოყვარე მშრომელი გლეხი, მაგრამ დამარცხდა მასთან ბრძოლაში და დამცირებულ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია. გოგიას ცხოვრების ამგვარი ტრაგიკული ფინალით ნაწარმოები მკითხველს მეფის უსამართლო ხელისუფლებისადმი სიძულვილითა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით განაწყობდა. ეს იყო იმ დროისათვის ამ მოთხრობის მთავარი შემეცნებითი ღირებულება.

მეფის მოხელეთა უდანაშაულო მსხვერპლია 1893 წელს შექმნილი **მოთხრობა “განკარგულებაში”** დახატული ღატაკი გლეხი კაცია მუნჯაძე. იგი მუდმივ ჭაპანწყვეტაშია, მაგრამ ცოლ-შვილი მაინც ვერ შეუმოსავს, თითქმის შიშველია მისი 10-11 წლის ქალი მარინე, რომელიც ძონძების ნაგლეჯებით იფარავს სხეულს. „სხვაი სხვაია და მარინაის სიცოდვემ თლა მომკლა ქალი. გუშინ შვილო მთელი დღეი იტირა: ამხელა ქალი ვარ და ხორცის დასაფარავი არაფერი მაქო. დევიწვი და სხვა რაი!“ (იქვე, 305,306)-ეუბნება კესარია კაციას. „საბრალო ქალი თავის მშობლებთანაც კი სირცხვილით ხელებს იფარავდა ტიტველა სხეულზე. როცა სტუმარს დაინახავდა, მარინე მირბოდა სახლის უკან, რომ დამალულიყო“ (იქვე,305,306). პატარებს კი ესეც არ გააჩნიათ. მთავრობის გზირმა მთელი დღის განმავლობაში მუშაობისაგან დაქანცული კაცია ღამით რკინიგზაზე სადარაჯოდ გააგზავნა, რადგან მატარებლით უნდა გაევლო „ერთ მძლავრს ამა

ქვეყნისას“, ხოლო რკინიგზაზე სათანადო წესრიგის დასაცავად გაცემული იყო გუშაგის გაყვანის განკარგულება. კაციამ სიტყვის შეუბრუნებლად მიიღო დავალება.

გზირის ბრძანება, გაუხარდა კიდეც, რადგან გზირი მას სანაცვლოდ გზის სამუშაოზე წაყვანიგან განთავისუფლებას დაჰპირდა. საშინლად დაღლილ კაციას უწევს საყარაულოდ წასვლა. მატარებლის მოლოდინში რკინიზგის ლიანდაგზე მიეძინება და მატარებელი გასრესს. კაცია მუნჯაძე თავისი დუხჭირი ბედის მონა-მორჩილია. ის კარგად ხვდება „რამდენი რა ტრიალებს ყაძახის თავზე“(იქვე, 309), მაგრამ ეს უბედურება მას გარდუვლად, „დიდკაცებისაგან“ ამქვეყნად დაკანონებულად მიაჩნია. მისი ფიქრებიდან ნათლად გამოსჭვივის პროტესტი ამ დაკანონებული წესების: „რომ არ წამოვიდე და არ ვიდარაჯო? ვთქვათ, არ შემეშინდა ციმბირის... ჰმ, რას იფიქრებს კაცი. იგი არაა, ერთი დამიძახეს წადიო და მაშინათვე აგერ გამოვძუნძულდი“(იქვე, 309). მართლაც ტყუილად არ შეარქვა ავტორმა თავისი მოთხრობის პერსონაჟს მუნჯაძის გვარი, რომელშიაც განზოგადებულად წარმოდგენილია კაციას ხასიათი: დუმილი, ქედმოხრა არსებული სოციალური უსამართლობის წინაშე.

მოთხრობა ერთდაგვარ გზას უჩვენებს „განკარგულების“ მოლოდინში მყოფ მშრომელ ხალხს. მათ მიუთითებს, რომ დუმილი კარგს არაფერს მოუტანს ადამიანს და შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

გასული საუკუნის 90-იანი წლები სწორედ ის პერიოდია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, როდესაც კაპიტალიზმმა საბოლოოდ მოიკიდა ფეხი და მისი ზეგავლენა სოფელსაც დაეტყო. კაპიტალიზმის შემოჭრის ნიადაგზე გლეხობაში მომხდარი დიფერენციაცია გახდა კლასთა ბრძოლის გამწვავების მიზეზი. შედეგად გაჩენილ სოფლის ბურჟუაზიასთან დაპირისპირება, რომელიც ახალ მჩაგვრელად მოევლინა სოფელს დროის მიერ წარმოშობილი დროიძეების სახით, ეგ. ნინოშვილმა გამოკვეთილად **დაგვიხატა მოთხრობაში “სიმონა”,** რომელიც დაწერა 1891 წელს ზესტაფონში, ხოლო გაზეთ “ივერიაში” დაიბეჭდა 1892 წელს. ამ მოთხრობაში მწერალმა გვიჩვენა გლეხობის ორი ფენის

წარმომადგენელთა ურთიერთშეჯახება. აღებ-მიცემობით, ჩარჩ-ვაჭრობით, მოტყუებით გამდიდრებული დავით დროიძე გლეხია, თუმცა სიმდიდრის წყალობით, მაღალ წოდებაში ჩარიცხულა. დავითი სოფლის ბურჟუაა. მას სამი ვაჟი ჰყავს. ორი მათგანი მამამასთან ერთად სიმინდითა და კაკლის ხეებით ვაჭრობს, მესამე – უმცროსი, იუნკერთა სკოლაში სწავლობს, ოფიცრობისთვის ემზადება. წაბლისერები დავითის ოჯახს უკვე "აზნაურის ოჯახს" ეძახიან, ხოლო დავითი გუშინდელი გლეხი, დღეს სოფლის „პატარა მეფე" ზემოდან დასცქერის თავის თანამოძმეებს და განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვს მათგან. მწერალი გვიჩვენებს, რომ დიდად გავლენიანი კაცი გამხდარა ეს "გააზნაურებული მდაბიო", ხალხს კი მისი შიში აქვს.

დავითისა და ახალგაზრდა, ობლობაში აღზრდილი მშრომელი გლეხის, სიმონა ძალაძის ცხოვრების გზები იკვეთება. სიმონას ბაბუა, ყმა გლეხი გაბილა ძალაძე, სოფელ წაბლისერში ერთ დროს განთქმული ყოფილა, როგორც თავისი ოჯახით, აგრეთვე ვაჟკაცობით, მაგრამ შვილი მამას არ ჰგვანებია, სამაგიეროდ რძალი ქეთევანი იყო ოჯახის ბოძი. გაბილა ძალაძის ამბავს მწერალი გაკვრით გვატყობინებს, მაგრამ მისი ხასიათი, როგორც ბატონის წინაშე ქედმოუხრელი გლეხისა, წარუშლელად აღიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში. „გაბილას ბატონი, თავადი თხლეძირაძე, მუდამ უჩიოდა ამ თავზედ ხელაღებულს შინაყმას. „აბა რა უნდა ვუყო ამ ბიჭს? ნებით გემოიანად არ გემსახურება; ძალა ვიხმარო, კიდევ უარესის. კაცმა თუ თავზე ხელი ეიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე! გაბილას ხომ ბევრი აღარ უკლია თავზე ხელის აღებას"-(იქვე, 67) სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე, შრომისმოყვარე, პატიოსანი და თვალტანადი სიმონა ვაჟკაცობით ბაბუას დამსგავსებია. ბედნიერი ქეთევანი მის დაცოლშვილებაზე ოცნებობს.

დავითმა და სიმონამ თავიდანვე აითვალწუნეს ერთმანეთი. ამ ათვალწუნების მიზეზს ნინოშვილი სოციალური ვითარებით ხსნის. ვითარება ასეთია, პატარა სიმონას ეშინია დავით დროიძის: „დავითის რიხიან ხმას, დიდრონ წარბებს და მწყრომარე თვალებს" (იქვე ,75). ისე დაუფრთხია ეს გაბედული ბავშვი, რომ ყოველთვის გაურბის მასთან შეხვედრას.

„აი ბიჭი სათოკე იქნება, სულ ბაბუამისის მოყვანილობა და თვალები აქვს“ (იქვე, 75) - თითქოს დაპირისპირებას წინასწარ გრძნობს პატარა სიმონსთან, ამბობს დავითი. უკვე მოწიფულსა და ჭაბუკობის ასაკში შესულ სიმონას, მართლაც ემჩნევა, რომ მასში შთამომავლობით გადმოსულა ბაბუამისის მებრძოლი სული, ძალადობისა და უსამართლობის წინაშე ქედმოუხრელობის განწყობილება.

კონფლიქტის მიზეზი იყო ის, რომ სიმონა ამაყად ცდილობდა გზა აექცია თავისი მედიდური მეზობლისთვის, რათა მდაბალი სალამი არ მიეცა მისთვის. „რავარი კაცის ჩამომავლობაა, რომ იმისგან კაი რამე გამევიდეს: გაბელა ძალაძემ უდროოდ დააბერა თავისი ბატონი“ (იქვე, 75) ,- აფასებს მის საქციელს დავითი. თუმცა გამდიდრებული დროიძე ვერ ეგუება წინააღმდეგობას. მიუხედავად იმისა, რომ ძალაძის ოჯახისადმი დავითს განსაკუთრებული მტრული დამოკიდებულება არა აქვს, მას გულში მაინც სურს თავიდან მოიშოროს ამაყი და ქედმოუხრელი სიმონა. ამ მიზნით ის მას ბრალს დებს „ნალიის“ გატეხვასა და სიმინდის მოპარვაში. ცამდე მართალი სიმონა ვერ ითმენს ცილისწამებას, დავითს სიტყვას შეუბრუნებს და „ქვეყნის მყლაპავს“ წამოსძახებს „შენ რომ ბერძენს ფულები მოპარე და იმით გაკეთდი, ისე გგონია სხვაიც“ (იქვე, 77). ამის გამო დავითი სატუსაღოში ჩააასმევინებს სიმონას. როცა მას ერთ-ერთი შემსწრე სთხოვს: “ნუ იკადრებ, ბატონო, უჭკუოა და ჭყამპალებს; მეტი შენი წყენა რა უნდა შეეძლოს იმასო” (იქვე, 77). დროიძე პასუხობს: “ამისთანას უფრო შეუძლია წყენა და ვნება. მოგეპარება ერთ ღამეს, წაგიკიდებს ცეცხლს და გამოგბუგავს შით. ჩაგიჯდება გზაში, გკრავს თოფს და გაგაგორებს!” (იქვე, 77).

შინ დაბრუნებული სიმონა დავითს ემუქრება: „დამაცაო“. დავითს შეაშფოთებს და შესაშინებს ეს მუქარა და ჩაიფიქრებს სიმონა სულ მოაშოროს სოფელს, სრულიად დაღუპოს იგი. მალე იპარავენ დავითის ლურჯა ცხენს, რაც ხელს უწყობს დავითს მზაკვრული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას. ბედაურის ქურდობას დავითი სიმონას აბრალებს. ადრე ეჭვმიტანილ სიმონას კი მაშინვე ციხეში სვამენ სამი წლით. ეს მაშინ, როცა

მას პატიოსანი და მუყაითი შრომით ოჯახი უკვე ფეხზე დააყენა, როცა უკვე შეყვარებულია პავლიას ქალზე – მშვენიერ დარიკოზე და მის თვალში „ცასაც სხვა ფერი ედო, მიწასაც, დღესაც და ღამესაც: ასე ეგონა ფრინველებიც ჩემს სიყვარულს მღერიანო“ (იქვე, 82). უთანასწორო ბრძოლაში კვლავ სიმონა იჩაგრება, იმარჯვებს სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი დროიძე.

საპატიმროდან განთავისუფლებული სიმონა დარიაზე ქორწინდება. ახალგაზრდა გამრჯე ცოლ-ქმარი სამ თვეში აღორძინებს დანგრეულ ოჯახს, მაგრამ დავითი არ ისვენებს და ახალ უბედურებას უმზადებს ახალშეუღლებულთ. ის სიმონას, როგორც “საეჭვო პირს”, ცილს სწამებს ფოსტის გაძარცვაში და კვლავ სატუსაღოში ისტუმრებს ახლა უკვე ორი წლით.

მოთხრობაში ამ ფაქტებით არ მთავრდება იმ წინააღმდეგობის ჩვენება, რომელიც ერთი კლასის ამ ორ ფენას შორის გაჩნდა. უფსკრული მათ შორის თანდათან ღრმავდება და თუ დავითის თვალში სიმონა პიროვნებაა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს, მისი ვაჟი ტიტიკოსათვის „ყაძახი“ საერთოდ არაა ადამიანი. „სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ... თუ კი ის ბიჭი, სიმონია თუ ვინცხა, ჩვენი ვნება შეუძლია, მოიშრეთ თავიდან, ან სულ დააკარგვინეთ, ან მოაკვლევინეთ. მაშ რათ გინდათ ის ფულები, თუ ეგეც არ შეგიძლიათ?“(იქვე,91) - უპასუხებს ტიტიკო თავის ძმას ლევანს, როდესაც ეს უკანასკნელი ურჩევს, ხელი აიღოს სიმონას ცოლის დასაკუთრების განზრახვაზე.

პატიმრობიდან განთავისუფლებული ძალაძე ტყეში გაიჭრა ფირალად და დაუპირისპირდა დროიძეს: მოუკლა ორი შვილი, ტიტიკო და ლევანი. რადგან ტატიკომ ნამუსი ახადა მის დარიკოს, როცა სიმონა პატიმრობაში იყო. სიმონამ ცეცხლს მისცა დავითის დიდი ოდა-სახლი. სამი წლის განმავლობაში „ყაჩაღი“ ძალაძე შიშის ზარს სცემდა მთავრობის წარმომადგენლებს.

დავითისა და სიმონას, ამ ორ მთავარ პერსონაჟს გარდა, მოთხრობაში განსაკუთრებული ფერებით არის დახატული გლეხი ქალების – ქეთევანისა და დარიას სახეები. დარია, ერთ-ერთი შესანიშნავი სახეა ნინოშვილის მიერ დახატულ გლეხ ქალთა გალერეაში. ის განსაკუთრებულია, როგორც თავისი სილამაზით, ისე სინდისითა და შრომისმოყვარეობით. იგი სამი წელი თავს დასტრიალებდა და მზრუნველობას არ აკლებდა საპატიმროში მყოფი საქმროს, სიმონას, მოხუც-ავადმყოფ დედას - ქეთევანს. როდესაც სიმონას მეორე პატიმრობისას, მას მოტყუებითა და ძალმომრეობით ნამუსი ახადა დროიძის შვილმა „პრაპორშჩიკმა“ ტიტიკომ, მან ეს საშინელი დამცირება ვეღარ აიტანა, მიატოვა ოჯახი, ძუძუმწოვარა შვილი და თავი მოიკლა. სევდის მომგვრელია დარიას საუბარი ქეთევანთან, თვითმკვლელობის წინ. „დედამთილო, ამას გთხოვ, სიმონი რომ მოვიდეს, უთხარი: შენი დამღუპველის შვილმა ტიტიკომ ძალით მომერია და გაძღა ჩემი ხორცით-თქვა... სიმონს არ ეკადრება შერცხვენა, კაი ვაჟკაცია... იმედათ მიმყობა, რომ ჩემს წვალებას არ შეარჩენს ტიტიკოს... გაბრიელავ, ჩემო პაწა გაბრიელავ, ვის ხელში იქნები, ვინ იცის, აგატირებენ უჩემოთ!“ (იქვე ,99).

სიმონას სახით ნინოშვილს ნაწარმოებში წარმოდგენილი ჰყავს 90-იანი წლების გურიის პროტესტანტი გლეხი, ე. წ. „ფირალი“, რომელსაც სოციალურმა ჩაგვრამ ხელში იარაღი ააღებინა და თავისი „დამაქცევარი“ გააუბედურებინა.

„სიმონა“ ერთგვარი პასუხი იყო კითხვაზე, რომელიც ნინოშვილმა დასვა თავის კორესპონდენციაში, რა ხდის გლეხკაცს ფირალად.

რა თქმა უნდა, სიმონა მებრძოლი გლეხია, სხვა ნაწარმოების გმირ გლეხებთან შედარებით იგი ბრძოლის, წინააღმდეგობის გზას ადგას, მაგრამ ეს არაა ის ძალა, რომელიც მოიტანს საბოლოო გამარჯვებას. სიმონა ინიდივიდუალური ტერორის გზას დაადგა მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო იმის ჩაყლაპვა და ყოველგვარი მოთმინების ზღვარს სცილდებოდა ის, რაც დახვდა გადასახლებიდან დაბრუნებულს. ეს იყო უკიდურესი ზღვარი. უნდა აღინიშნოს რომ სიმონას პერსონაჟის, როგორც

მებრძოლის, ძირითადი ნაკლი იმაშია, რომ იგი დავითში მხოლოდ პირად მტერს ხედავს: „რა გიჭირდა, დავით, ამ ღვთისგან მოცემულ ქვეყანაზე შენც ყოფილიყავ და მეც. ორივენი დავეტეოდით“, - ფიქრობს სიმონა, როდესაც შურისძიებისთვის ჩასაფრებული ელოდება დავითისა და მისი ვაჟების ჩამოვლას. სიმონას ვერ დაუდგენია, რომ ის და დავითი „ამ ღვთისაგან მოცემულ ქვეყანაზე“ ერთად ვერ დაეტევიან და მათ შორის კონფლიქტი გარდაუვალია, რადგან ეს კლასთა ბრძოლაა.

ამ ნაწარმოებში ე. ნინოშვილი აგვიწერს ფირალობის ფაქტიურ არსს. მას კარგად ესმის, რომ ასე ცალ-ცალკე მოქმედი გლეხები დიდ სარგებელობას ვერ მოუტანენ თავიანთ დაჩაგრულ თანამოძმეებს. მისი ხედვა ასეთია, მხოლოდ შეერთებული ბრძოლით შეიძლება მიზნის მიღწევა და არა ცალკ-ცალკე. რაც მწერლის მთავარ სათქმელს წარმოადგენს.

ფირალობის თემას ეხება აგრეთე 1892 წელს შექმნილი მოთხრობა **“განკიცხული ოჯახი”.** მასში დახატულია უღატაკესი გლეხის არჩილას უმწეო მდგომარეობა. არჩილა ორი წელია, რაც ყაჩაღად გავარდნილა. მთავრობამ ბევრი მწარე დღე გაუთენა სოფელს არჩილას გამო. ამიტომაც ხალხი, მეფის მოხელეთა შიშით არჩილის ოჯახს სათოფეზე აღარ ეკარება, განზე გადგომია. ახალი წლის დღე დგება. სოფელი დიდი ამბით ემზადება საკალანდოდ. არჩილის ოჯახში კი სიღატაკის სიჩუმეა. ცოლი ირინე, თავისი სამი ჩვილი ბავშვით, მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი ხვდება “სასიხარულო” და „საბედნიერო“ დღეს, ახალ წელს. დედას პატარა ეტიტინება „ნენა, ჩვენ სად გვაქ ღოლი? ბაბაია მეიტანავს ამაღამ?“ –„ირინეს თვალებზე ცრემლი მოადგა... „ბაღანაი ანგელოზია, ვინ იცის, ამეღამ ეგება ქე მევიდეს ჩემი ქმარი“- გაიფიქრა“ (იქვე, 217). მაგრამ ამაო იყო ირინეს ფიქრი, გათენდა კალანდა დილა. „მთელი დღე ხალხი მიდიოდა-მოდიოდა ერთმანეთთან, ულოცავდნენ ახალ წელს. ირინესთან კი არავინ მოსულა“ (იქვე, 217) ასე თავდება ეს ნაღვლიანი პატარა ესკიზი, რომელიც გულისშემძვრელია. მასში სამწუხარო რეალობაა გადმოცემული, თუ რამდენად სახიფათოა სიმართლის თქმა, ეს აზიანებს არა

მარტო პირადად მას, ვინც იბრძვის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ მის ოჯახსაც. ჩანს გლეხკაცის სიბეჩავეც, განუდგე მას ვინც განსხვავებულია, რათა გადარჩე. დაიცვა თავი და გაწირო სხვა (მახარაძე,1957:527).

ეგნატე ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობაა, თავისი ტრაგიკული ხვედრით **„პალიასტომის ტბა“.** მწერალს იგი დაუწერია 1891 წლის ნოემბერში, თბილისში და დაიბეჭდა იმავე წელს, გაზეთ "ივერიაში". ნაწარმოების „გულსაკლავმა სურათებმა", მაშინვე მიიქცია მკითხველთა დიდი ყურადღება და მოწონებაც დაიმსახურა. მოთხრობაში აღწერილია ეკონომიკურად შეჭირვებული, მუყაითი გლეხის ბრძოლა არსებობისათვის და თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებისთვის. ნაწარმოების მთავარ გმირი, ივანე, ოცნებობს თავისი ცხოვრების წარმატებულ მომავალზე „იცი, ბიჭო ნიკო, ღმერთმა თუ ხელი მოგვიმართა და აფერი გამოგვეკრა, ავადმყოფობა ან რამე, წრეულს ძაან საქმეს ვიზამთ, ძაან დავთალეთ ხეები“ (ნინოშვილი,1984:34) – ეუბნება იგი თავის უფროს შვილს, ნიკოს, რომელიც მამას ვაჟკაცივით უდგას მხარში. ივანე და ნიკო ხეებს ამუშავებენ საბაჟო ტყეში. წყლის ადიდებისას ხეებს ტივად შეკრავენ და ფოთში წაიღებენ გასაყიდად. ივანე გეგმავს, რომ ამ სეზონზე საქმეს კარგად ააწყობს, ფულს იშოვის, რითაც გადასახადებსაც გაისტუმრებს და ქალიშვილსაც გაამზითვებს. ის ოცნებობს ყმობისგან თავის დახსნასა და მიწების გამოსყიდვაზე, მაგრამ სამწუხაროდ ივანეს ოცნებებს ასრულება არ ეწერა. იგი ამ აუხდენელ ოცნებასთან ერთად აბობოქრებული ტბის ძირში იმარხება.

სიმბოლური ხასიათის მატარებელია მწერლის მიერ ასე ტრაგიკულად გადმოცემული მამასა და შვილს, ქალაქ ფოთს შუა ჩამდგარი "ვეშაპის მყლაპავი" პალიასტომის ტბა. ასევე მოთხრობაში გამოკვეთილია თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ პერიოდში. ნინოშვილს ფაქტიური მასალა 80-იანი წლების გურიის სინამდვილიდან აქვს აღებული. ფაბულა გამხდარა ლანჩხუთის მოშორებით, ფოთის მხარეს, ორმოცი ათას ჰექტარზე

გადაჭიმული ტყის სარგებლობის უფლება, რომელსაც უსამართლოდ დაეპატრონენ ერთი მხრივ თავადი გურიელები, მეორე მხრივ აზნაური ჭყონიები. რამაც ცხოვრება უფრო გაურთულა და საარსებო წყარო წაართვა ისედაც გაღატაკებულ გლეხკაცს. ამ ორი გაზულუქებული ფენის წაქეზებით, მოტყუებული გლეხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. როგორც ყოვეთვის ბრძოლის შედეგად, დაიჩაგრა ისევ საწყალნი - ღარიბნი. შეიზღუდა მათი უფლებები ტყით სარგებლობაზე.

როგორც მწერლის თანამედროვე სიმონ ჯორბენაძე გვატყობინებს, ამ პერიოდისთვის ნინოშვილი მუშაობდა მდივნად თავად გურიელთან, რომელმაც მას მისცა უფლება-მოსილება გლეხებთან მიწის გამიჯვნისა: ეგნატე აღმოჩნდა ორ ცეცხლს შუა: ერთი მხრივ, როგორც თავადი გურიელის მდივანს უნდა შეესრულებინა საკუთარი მოვალეობა პირნათლად და დაეცვა გურიელის ინტერესები, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც გლეხობის დიდ გულშემატკივარს, არ შეეძლო ობიექტური არ ყოფილიყო და ემოქმედა მათი უფლებების წინააღმდეგ. სწორედ ამ ფაქტის გამო მან მიიღო გადაწყვეტილება არ წასულიყო კომპრომისზე და დაეთხოვა სამსახურიდან.

მოთხრობიდან ჩანს, რომ ტყე უკვე თავად-აზნაურებს საკუთრებაა და მასზე ხელი არ მიუწვდება გლეხობას გადასახადის გარეშე. სწორედ, ამ საბედისწერო, საბაჟო ტყეში დათალეს ფოთს წასაღები ხეები ივანემ და ნიკომ. ნაწარმოების იმ სიუჟეტს, რომელშიაც გლეხებსა და თავადაზნაურებს შორის ტყის გამო ატეხილი ბრძოლის ამბავია აღწერილი, ერთგვარად პუბლიცისტური ელფერი დაჰკრავს. მწერალი მას იყენებს ნაწაროებში სოციალური აზრის გამოსააშკარავლებლად და პრობლემატური საკითხის წინ წამოსაწევად. მკითხველზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოთხრობის დასკვნითი ნაწილი: პალიასტომის აბობოქრებულ ზვირთებში მამა-შვილის დაღუპვის ამბავი.

ივანე არის იმ ჩაგრული თუ გაუბედურებული გლეხის პროტოტიპი, რომელიც ამაოდ ებრძოდა სოციალურ წნეხს და ამავე დროს საკუთარ უბედობას. „პალიასტომის ტბის“

ტრაგედიით ნინოშვილმა, ზოგადად, მისი თანამედროვე და მომდევნო თაობების სოციალური პრობლემები გვიჩვენა.

ერთობ მნიშვნელოვანია, 1892 წელს შექმნილ მოთხრობა **„პარტახი“**. რომელშიც წოდებრივი უთანასწორობასა და სოციალური ჩაგვრაზეა საუბარი. ახალგაზრდა გლეხმა, ჯერან ტევრიძემ, ცოლად შეირთო მამიდის ქალიჯანის მიერ გამორჩეული ქალი, ლიზა, რომელიც მანამდე არასდროს უნახავს. იგი საცოლეს, პირველად ნიშნობისას შეხვდა და არ მოეწონა. თუმცა ნიშნობაზე უარის თქმა გვიანღა იყო, რადგან საქმის ჩაშლა თხოვა გათხოვების ძველი ადათ-წესების მიხედვით, საცოლეს ოჯახის დიდ შურაცხყოფად ითვლებოდა. სასტიკად გაწბილებული ჯერანი, რომელიც თავს მოტყუებულად თვლიდა, იძულებით დამორჩილებოდა ბედს. ქმარმა თავიდანვე შეიძულა ცოლი. დედამთილმა და მულმაც, რომლებსაც ჯერანი მუდამ საყვედურობდა, შემაცდინეთო, აითვალისწუნეს რძალი. მისი არაფერი მოსწონდათ. „ლიზა რა სახელიაო“, ჯერ სახელი შეუცვალეს და მელანია დაარქვეს. შემდეგ სრულიად უმიზეზოდ დაუწყეს ახირება თუ მოიწყენდა, „წარბები რად მოხარეო“, თუ გაიღიმებდა, „სახე რა გაგიბრწყინდაო“. საქმე თუ ცუდად წაუვიდოდათ მთელი ოჯახი მას ადანაშაულებდა, ოჯახში ცუდი ფეხით შემოხვედიო. ასეთი ფიქრები მათ სოფლის მკითხავმა შთააგონა : თქვენი რძალი ავი სული ყოფილაო: „-იცი, ნენა, წუხელის რა დამესიზმრა?“ – უთხრა ერთ დილას ელისაბედმა დედას, - ვითომ მოვიდა ჩემი რძალი, ამომართვა გული, ჩემი თვალით დავინახე კაკალი გული, გახვია ქაღალდში და წაატანა დედამისს“ (იქვე,138). საბოლოოდ მელანიამაც შეიტანა ეჭვი საკუთარ თავში: „რა ვიცი, ეგება რომ დამეძინება, მერე ეშმაკს მიყავს ჩემი სული და ავ საქმეს ამოქმედებსო“ (იქვე ,139)- ფიქრობდა საბრალო.

ქმარი მელანიასათვის ტირანად იქცა, ქმრის ოჯახი – ჯოჯოხეთად. ერთადერთი ბედნიერების წყარო ტანჯული ქალისათვის ახლადშეძენილი შვილი – ლუკა იყო. ლამაზი პირისახის მელანიას გულწრფელად შეიყვარებს ახალგაზრდა გლეხი ლევანი. რის გამოც მთელი ოჯახი კვლავ მას დაუპირისპირდება, ხოლო ჯერანი მოკვლას დაუპირებს, თუმცა

მას განზრახვაზე ხელს ააღებინებენ მეზობლები. ამის შემდეგ „წაიშალა“ ჯერანმა ხელი ცოლზე საცემად, უმიზეზოდ, თითქმის ყოველდღე, სცემდა. დაავიწყდა საკუთარი პრინციპი „ვინც დედას, დას და ცოლს გალახავს, იგი კაცად არ მიხსენებიაო“.

მელანია დედ-მამამაც უარყო, რადგან ლევანისა და მისი შვილის სიყვარულის ამბავი შეიტყო. შემოუთვალა შვილს: ჩემს ოჯახში ფეხი აღარ დაადგა, ქვეყანაზე თავი მომჭერიო. ყველაზე დიდი უბედურება რაც მელანიას თავს დაატყდა, პატარა ლუკას სიკვდილი იყო.

ამ უდიდესი ტანჯვიდან ერთადეთრი გამოსავალი მელანიამ თვითმკვლელობაში დაინახა. მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება მელანიას თვითმკვლელობის ღამე. ეს არის კულმინაციური მომენტი ამ მოთხრობისა. ავტორი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიხატავს მელანიას ფიქრებსა და განცდებს თვითმკვლელობის წინ. მელანიას შიში აქვს, ნებისყოფამ არ უმტყუნოს და განზრახული თივითმკვლელობა არ გადააფიქრებინოს. იგი უკანასკნელად იგონებს სიხარულითა და ტანჯვით აღსავსე დღეებს, ცდილობს არავინ გააღვიძოს. ზაფხულის წვიმაა, რომელსაც საშინელი გრიალი გააქვს ყავრით დახურულ სახლზე, -„რა წვიმაააა! – დაიწყო მელანიამ ფიქრი, - ამისთანაი წვიმა რომ იქნებოდა, ჩემი ლუკაი მკითხავდა, ნენა, ლაა იიო, ნეტაი თუ ვნახავ ჩემს ლუკას? ბაღნები ანგელოზებში ურევიაო, მე ვინ მიმიშობს მასთან! იგიც კაია, შორიდან თუ დევინახე. ვინ იცის, ეგება ტყუილია ვატყუებ თავს, აფერი არაა!“(იქვე,155).

კოშმარული ღამე გრძელდება: „სუ! მგონი მამალმა იყივლა, თუ ტყუილა მომეყურა! მალე, თვარა დამათენდება თავზე. ამაღამ თუ არ იქნა, მერე აღარ იქნება...აა, შე გლახავ, ჩემო თაო! ჩემ გამეტეს არ უქნია თუ? გააქანე ხელი და გათავდა!... იმისთანაი წვიმაა, რომ კაცი ვეფერს გეიგონებს“ (იქვე,155).

გაისმის გასროლის ხმა. ჯერანი იღვიძებს. „აუ, დააქცია მეხმა სახლი!“ (იქვე,155)- წამოიძახებს და წამოვარდება ლოგინიდან. მალე მთელი ოჯახი იგებს რა მეხიც დაეცა

თავს. მელანიას მკვლელობაში ჯერანს სდებენ ბრალს და ციმბირში ასახლებენ. ელისაბედი ჭლექდება და კვდება, ხოლო ხვარამზე ჭკუიდან იშლება, სოფელ- სოფელ დადის და გზად შემხვედრს ეხვეწება: „ჩემი ჯერანს საცოლე ერთი კაი ქალი გამომირჩიეო“ (იქვე ,156). მერე ისიც კვდება. ოჯახი პარტახდება. ასეთია ამ მოთხრობის ტრაგიკული ფინალი.

ნინოშვილმა თავისი კალმით იმ დროისთვის პრობლემატურ საკითხებზე: უსწავლელობა, ცრუმორწმუნეობა, ქალთა უუფლებობა და ძველი მავნე ზნე-ჩვეულებებზე არაერთი შედევრი შექმნა. მაგრამ მათ შორის „პარტახი“ განსაკუთრებულია, რადგან სწორედ ამ გაუნათლებლობასა და ტრადიციების მანკიერ მხარეებს ამხელს ნინოშვილი ამ ნაწარმოებში.

მთავრობის გაიძვერა მოხელის, გაქნილი მექრთამისა და ბოროტი ადამიანის ტიპიური სახე დახატა ნინოშვილმა 1893 წელს დაწერილ მოთხრობაში **„მოსე მწერალში“.** მოსე გულფუჭაძე, ისე როგორც დავით დროიძე, გლეხთა წრიდან არის გამოსული. იგი თავიდანვე ბოროტი და სასტიკი ადამიანი როდი იყო. მან დიდი შრომის და ჯაფის შედეგად მიიღო მცირეოდენი განათლება და ბოქაულისადმი ქრთამის სანაცვლოდ მოახერხა სოფლის კანცელარიაში მწერლად მოწყობა.

თავდაპირველად მოსე პატიოსნად მუშაობს. კანცელარიაში საქმეზე მოსულ გლეხებს პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობა, თავაზიანობის ნიშნად ფეხზედაც კი წამოუდგება ხოლმე და ჰკითხავდა „რა გნებავთო, მაგრამ გავიდა ხანი მოსე გამოიცადა, შეისწავლა, თუ როგორ ეპყრობიან უფროსები გლეხებს და თვითონაც გათამამდა“ (იქვე,276). ფულის გემომ და მეფის მოხელეთა აპარატში სისხლში გამჯდარმა უმსგავსოებამ მისი ბუნება ნელნელა შეცვალა და ფსიქიკა გარყვნა. მოსე გულფუჭაძის გულში ანგარებამ გაიღვიძა და თანდათან, ყველა სხვა გრძნობაზე გაბატონდა და დაეპატრონა მის შეგნებას.

უსაფუძვლოდ როდი ქვია გულფუჭაძე. მოსე ყოველგვარ ბოროტებას სჩადის, ოღონდ იშოვოს ფული. მისი მიზეზით იღუპება ბევრი პატიოსანი ადამიანი. მისი ანგარების მსხვერპლი გახდნენ უნათლოშვილების მთელი ოჯახი და სოფლის მღვდელი, კეთილი და სათნო ათანასე, რომელთაც მოსე მწერლის მაგივრად დასდეს ბრალი ყალბი საბუთების შედგენაში და გააციმბირეს.

მოთხრობაში ალალმართალი და პატიოსანი გლეხების გვერდით, დახატულია სახე შურიანი და ბოროტი გლეხის ბაგრატ ქერაძისა, ვინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უნათლოშვილების ოჯახის დაღუპვაში დაბეზღებითა და ღალატით. „ყოლიფერში რომ მაჯობეს უნათლოშვილებმა! ერთი აგი კი უნდა შევიტყო, რა ზაბუთით გაათავისუფლეს?“(იქვე, 291)

დაბოლოს, „მოსე მწერალმა”, რომელიც ჟურნალ “მოამბეში” დაიბეჭდა 1894 წელს, იმთავითვე დაიმსახურა ლიტერატურული კრიტიკის მოწონება. ამ მოთხრობის გამო გ. წერეთელი ჟურნალ “კვალის” ფურცლებზე წერდა: “მოსე მწერალი ახალი ტიპია ჩვენს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. სრული რეალური თვისებით გამოყვანილი”.

თავი IV. სახასიათო ტიპები და გვარები ეგნატატე ნინოშვილს შემოქმედებაში

ადამიანის ლიტერატურული სახის - ტიპის შექმნა რთული საქმეა. მწერლის მიერ ამ მიზნის მიღწევა არ ხორციელდება მხოლოდ ერთი საშუალებით. სახის შექმნისთვის მწერალმა უნდა შექმნას მხატვრული გმირის - ლიტერატურული ტიპის სახასიათო სახე, მისი ფიზიკური, ფსიქიკური და გონებრივი თვისებები. მწერლის მიერ მსგავსად დახასიათებული გმირი საშუალებას გვაძლევს გავაცოცხლოთ ეს პერსონაჟი ჩვენს გონებაში ისე, როგორც ეს მის შემოქმედს ჰქონდა განზრახული წარმოგვედგინა. ხშირად ადამიანის ტიპურ ხასიათებს ტიპურ გარემოში გვიჩვენებს მწერალი, აგვიღწერს სახასიათო გმირის შთაბეჭდილებებს, გრძნობებსა და აზრებს, ხოლო პერსონაჟთა სალაპარაკო ენით გვაძლევს სრულ სურათს მთქმელის კულტურული დონის, პროფესიის, სოციალური მდგომარეობის, მის გრძნობათა და მისწრაფებათა შესახებ. სწორედ ტიპების შექმნისას სჩანს მწერლის ოსტატობა და ნიჭი. ტიპი - ასლს, ნიმუშს, ანაბეჭდს ნიშნავს. ლიტერატურული ტიპები არ წარმოადგენენ მხოლოდ ცალკეულ გმირებს არამედ, ხდება მათი განზოგადება გმირის ერთ-ერთი ძირითადი თვისებით, რომელიც შეიძლება ასახავდეს მხოლოდ ერთს გამონაკლისს ეპოქაში, ან კიდევ ადამიანთა ჯგუფს.

ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებებში სოციალური ტიპებია წარმოდგენილი, თანაც - ფსიქოლოგიურად გამძლე და უკვდავი ტიპები. ნინოშვილი ტიპების შესაქმნელად ფაბულას უშუალოდ თავისი დროის ცხოვრების სინამდვილიდან იღებს. სიმონას, დავით დროიძის, მოსე მწერლის, ტარიელ მკლავაძის, ქრისტინესა და იასონ უქმაძის ტიპები ცხოვრების განვითარების პერსპექტივის ალღოთი დაჯილდოებული მხატვრის მიერ არიან შექმნილი. ამიტომაცაა, ასე ძლიერად რომ მჟღავნდება მათში ტიპის ყველა ნიშან-თვისება. როგორც ცნობილია, ეგ. ნინოშვილის სიტყვიერი მასალა გურული დიალექტია.

ეფექტური ჩანს მისი გამოყენება დიალოგში. პერსონაჟთა მეტყველება გაცოცხლებულია გურულის ნართაული მეტყველებიდან მომდინარე მკვირცხლი იუმორითაც, თუმცა მისი გამოვლენის არე აქ შეზღუდულია.

ყოველი მწერლის მიმართ ყოველ დროში და ყოველთვის ბუნებრივად ისმება კითხვა: რა ნიშნით შეიძლება იყოს იგი თანამედროვე მკითხველის სულიერი ცხოვრების თანამგზავრი? ეს კითხვა ეგ. ნინოშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობასაც ეხება. ეგ. ნინოშვილიმა გააცოცხლა მისი თანამედროვე გურია თავისი სატკივარით, გარემოთი, ჩაქურებით, ,,ფიშტობითა" და ხმალხანჯლიანი „ფირალებით", მტერ-მოყვრის დახვედრის წეს-ჩვეულებებით, პალიასტომის ტბაზე, თამარ მეფისა თუ ხასან-ბეგ თავდგირიძეზე შემონახული ლეგენდებით, ხალხური მასალებით - ეს თავისთავად საინტერესო და სადღეისოდ უდიდესი ეთნოგრაფიული მნიშვნელობის დოკუმენტებია. თუმცა დღეს ეგნატე ნინოშვილის მიერ დახატულმა ეთნოგრაფიულმა გურიამაც კი შეიცვალა სახე. მწერლის მიერ დახატული სიტუაციებიც წარსულს ჩაბარდა; წავიდა დრო გოგია უიშვილის, კაცია მუნჯაძის და სიმონა ძალაძისა. ვეღარც ქრისტინეს, იასონ უქმაძეს და ტარიელ მკლავაძეს ვეღარ ვხვდებით თანამედროვენი, მაგრამ დარჩა ის ტიპური თვისებები, მწერლის მიერ გაცოცხლებული და ხორცშესხმული პერსონაჟებში, რომელსაც ჩვენს დროში და მომავალშიაც უცილობლად შეხვდება მკითხველი. ამიტომაცაა, როცა სხვათა დათრგუნვით უსამართლოდ აღზევებულ კაცს წავაწყდებით, რომელიც სიტუაციას „დროის მეფედ" რომ უქცევია - დავით დროიძე გვახსენდება. როცა გარეგნულად შთამბეჭდავ, გოლიათ სხეულში სულის სიმწირეს აღმოვაჩენთ, ტარიელ მკლავაძე მოგვაგონდება და პირიქით, სუსტ სხეულში შეფარებული ძლიერი სულის ხილვისას - ამოტივტივდება სახე სპირიდონ მცირიშვილისა. იასონ უქმაძისთანა მექალთანე, ცბიერი და უქმი ცხოვრების მოყვარულიც ბევრი ყოფილა და სამწუხაროდ, ვფიქრობ არც ახლო მომავალში გაქრება, ისევე როგორც მოსე მწერლისთანა ყალბისმქმნელები ყოველ ეპოქაში ალალ-მართალ ადამიანთა ცრემლსა და სისხლზე

აგებენ თავიანთ კეთილდღეობას. ქრისტინესთანა სულით წმინდა, მაგრამ უსამართლოდ ფეხქვეშ გათელილი ნამუსის ტრაგედიაც ყოველთვის ააღელვებს ჭეშმარიტ მკითხველს. გოგია უიშვილი კი სოციალურად დაჩაგრული და გაუბედურებული ადამიანის სიმბოლოდაა ქცეული. დიდი მწერლური ნიჭის გამოა, რომ სოციალური თვალსაზრისით ყავლგასული პერსონაჟები ჩვენთვის დღესაც ცოცხალნი და საინტერესონი რჩებიან (ევგენიძე, 1943 :552-554).

ეგნატე ნინოშვილმა გურიის სოფლის და გლეხობის მაგალითზე დაგვანახვა რამდენად ძლიერია სინათლისა და განათლებისკენ ქართველი კაცის სწრაფვა. მწერალს სწამს ცოდნის ყოვლისშემძლეობის, მისი გამაკეთილშობილებელი ძალის. მისი ნებისმიერი პატიოსანი გმირი მიწის მუშა იქნება, თუ სასულიერო პირი - დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, გზა გაუკაფოს შვილებს - ერის მომავალს, მზის სინათლეზე გამოიყვანოს, ცოდნას აზიაროს ისინი. ეგ. ნინოშვილის გლეხები მარტო გამორჩენის მიზნით არ უყურებენ მოვლენებს და ადამიანებს. მომავალზე ზრუნვა მათი მთავარი სულიერი მოთხოვნილებაა და არა - მატერიალურად უზრუნველყოფის გარანტია : „შვილი კამეჩი კი არ არის, რომელსაც იმიტომ ზრდიან, რომ შემდეგ ტვირთი ვაზიდვინოთ“. ან - „მე ჩემი დრო ავად თუ კარგად, მოვჭამე, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, ჩემი გულისთვის შვილს გზას არ დავუხშავ, როგორც ჰსურს და მისთვის სამჯობად მიაჩნია, ისე წაიყვანოს თავისი ცხოვრება: ჩემი შვილი არც უწლოვანოა არც სულელი, რომ ჩემი ხელმძღვანელობა სჭირდებოდეს. მე ერთი სოფლის უსწავლელი ვარ, მისოდენა რა გამეგება ცხოვრებისა“ - ასე მსჯელობდა ნინოშვილის ერთი ნაწარმოების პერსონაჟი მოხუცი პეტრე. ამ პრინციპით მცხოვრებ მამა-შვილს შეუძლია, „ნათესაობრივ სიყვარულს გარდა როგორც საუკეთესო მეგობრებს ისე უყვარდეთ ერთმანეთი“(იქვე, 550-551).

ზოგჯერ ტიპმა შეიძლება სახე იცვალოს და პირიქით საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინოს. ასე მოხდა ნინოშვილის ზოგიერთ პერსონაჟთან. კერძოდ გურიასა და იმერეთში სახეცვლი დატვირთვაც შეიძინა ეგნატეს უკვდავყოფილმა ტიპებმა. კერძოდ

„მოსე მწერალს“ მუდამივად წიგნს ჩაჩერებულ და სწავლაზე თავგადადებულ ადამიანს ეძახიან. რაც შეეხება ტარიელ მკლავაძეს, მასაც უცვლია სულიერი დატვირთვის მნიშვნელობა და მთლიანად ფიზიკურ-გარეგნული დატვირთვა შეუძენია. მოიჯგიმება ტარიელ მკლავაძესავითო - ამბობენ გურიაში. სიმონა კი ყოველთვის ამბოხებულ, გაუტეხელ, მებრძოლი გულის პირთან ასოცირდება, რომელიც არცერთ დაბრკოლებას არ უშინდება და შეუპოვრად აღუდგება წინ ნებისმიერ საფრთხეს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თვით ეგნატეს მიერ შექმნილი გვართა ტიპების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მის ნაწარმოებთა პერსონაჟებს აქვთ მოგონილი გვარები. ეს მწერლის ფანტაზიის ნაყოფი, სახასიათო გვარები თვით გმირის ხასიათს, მისი ცხოვრების განვითარებას და საბოლოო ფინალს ამჟღავნებს. საბუთს მოკლებული არ იქნება, რომ ვთქვა ეგნატეს ტიპებს კიდევ ერთი ღირსება აქვთ, ისინი მოლაპარა გვარები არიან. მოდი თვალი გადავავლოთ ამ გვარებს: „გაბრიელა ჩამწარდაძე“, „ელიზბარ თაფლაძე“, „ნიკუა კოღოშვილი“, „ბეჟანა ტყისპირელი“, „ზალიკა გადაღმელაძე“, „კაცია მუნჯაზე“, „დათია ხელმოკლიძე“ , „გოგია უიშვილი“ და ასე შემდეგ. ვთვლი, რომ გურული სიტყვამახვილობითა და იუმორით უნდა ავხსნათ მწერლის მიერ, ასე ოსტატურად გმირისთვის გვარის შერქმევა. გვართა ეს ფენომენის საკითხი, საერთო ხაზად გასდევს მის შემოქმედებას.

ხშირად, ამა თუ იმ შემოქმედის ნაღვაწის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, თუ რა გავლენა მოახდინა მან შემდგომი დროის მკითხველთა სხვადასხვა ფენაზე; ეგ. ნინოშვილი ამ მხრივაც გამძლე მწერალი აღმოჩნდა. მისი შემოქმედების პოპულარობას თუ შეუშალა ხელი რაიმემ, ეს ისევ და ისევ ყავლგაცლილი კრიტიკის გამოვლენა იყო.

ეგ. ნინოშვილის მწერლურმა ნიჭმა, მისმა სოციალურმა ტიპებმა ჯერ კიდევ 1919 წელს იმდენად მიიპყრო გალაკტიონის ყურადღება, რომ სპეციალური ესეც კი მიუძღვნა. მგოსანს არ დარჩა უყურადღებოდ ნინოშვილის მიერ შექმნილი ტიპები. იგი თითქოს ასდევნებია ეგნატეს და მის თვალთა გულისთქმას ხედავს, სწერს: „მას სურს რომ გაჰყვეს

გზადაგზა საქართველოს ყველა მოსახვევებში, გაფითრებულს, ნერვებდაჭიმულს, გაწბილებულ ადამიანს, რომელიც იტანჯება თანამედროვე ცხოვრების კონვულსიებში, სურს დაიჭიროს ის უეცრად მის კანკალში, ფიქრებში საშინელებაში, მის უღონობაში და აღზნებაში, მის თავგანწირულობაში და სასოწარკვეთილებაში; იგი ხედავს, როგორ ირევიან, როგორც გველის ბუდეში გადაწეული ქვის ქვეშ ახლადშობილნი ცუდი ინსტიქტები, ტალახსა და სიბინძურეში ზარმაცად მწოლიარენი და ამდაგვარი სურათების ნახვა, მისთვის თან მიმზიდველი და თან საზიზღარი, შობს საშინელ მელანქორიას, რადგან თავსაც იგი სხვებზე უმაღლესად არ სთვლის. იგი წუხს, როცა ხედავს, რომ სოფლის წმინდა უღრუბლო ლაჟვარდი ზეცა და სოფლის უმანკო, უბიწო ვარსკვლავები თანდათან ეხვევიან დაჭვარტლულ ორთქლში. არის ამნაირ მდგომარეობაში ხასიათიც და ეფექტებიც, როგორც რემბრანტის სურათებში“ (ევგენიძე ,1943)

განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია მგოსანზე მოთხრობას „ქრისტინე“. პოეტი თითქოს საკუთარი თვალებით ხედავდა როგორ დადიოდა თავგზააბნეული ქრისტინე თბილისის ქუჩებში. მწერალი აღნიშნავს: „ როდესაც ნინოშვილი ქალაქში ჩამოვიდა და ხედავდა, როგორ მიდიოდა ქუჩებში ქრისტინე, ამ მწუხარე სიარულით მოსიარულე ქალს, იგი ფეხდაფეხ მისდევდა, როგორც ლამაზ ქალს... იგი კიდევ ხედავდა ამ ქალის წარსულს და ხანჯლის დაკვრისგან გაფუჭებულ სახეში მაინც ამჩნევდა წარსული სილამაზის კვალს“ (ტაბიძე,1975:69-70). ასევე გრიგოლ რობაქიძემ 1930 წელს გამოაქვეყნა ესსე, „ეგნატე ნინოშვილი“, სადაც მისთვის ჩვეული მახვილგონიერებითა და თხრობის დახვეწილი კულტურით რელიეფურად არის წარმოჩენილი ეგ. ნინოშვილის პიროვნებისა და შემოქმედების არსებითი მხარეები. ეგნატე ნინოშვილის პიროვნებისა და შემოქმედების შთამბეჭდავი ხასიათი მხატვრული ხილვისა და შთაგონების წყარო გახდა ვალერიან გაფრინდაშვილისთვის ლექსში, „ჩემი შეხვედრა ეგნატე ნინოშვილთან“ (1934 წ.) სადაც წერდა: „აღმოაჩინე შენი კალმით მთელი გურია, ჯანყით, ვაებით სიღარიბით და კრიმანჭულით“ (გაფრინდაშვილი,1934).

ამრიგად, ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ეპოქის დასურათხატებაა, რომელმაც მთელი საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა წარმოგვიდგინა.

თავი V. ნინოშვილის გმირთა ეკრანიზაცია

დაბეჯითებით ნამდვილად ვერ ვიტყვით, რა იყო ნინოშვილის მოთხრობების ეკრანიზაციის უტყური მიზეზები, სოციალური დაკვეთა, ან მიმდინარე პოლიტიკური ხედვა. გასათვალისწინებელია, ქართველი კინემატოგრაფიისა და თეატრის ინტერესი ეგ. ნინოშვილის მემკვიდრეობისადმი. ეგნატე ნინოშვლის პროზა ერთობ საინტერესო მასალა იყო კინორეჟისორებისთვის.

1909 წელს, პ. წერეთელმა "ქრისიტინე" ოთხმოქმედებიან დრამად გადააკეთა. მოთხრობის პოპულარობით და მისდამი მკითხველის დიდი ინტერესით იყო გამოწვეული ქრისტინეს მრავალრიცხოვანი ლიტერატურული გასამართლებები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა.

თავისთავად საგულისხმოა, რომ პირველი ქართული მხატვრული მუნჯი კინო, რომელის შექმნაც ალექსანდრე წუწუნავამ 1916 წელს დაიწყო და 1918 დაასრულა, სწორედ ეგ. ნინოშვილის „ქრისტინე" 5 მოქმედებიანი დრამა იყო. ფილმის გადაღების იდეა გაუჩნდა გერმანე გოგიტიძეს ოზურგეთში, საკუთარ კინოთეატრში ერთ-ერთი იტალიური ფილმის ნახვის შემდეგ. მანვე შეარჩია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე". შეაგროვა კინოს გადასაღები ფული, რაშიც ბართლომე კილაძე და ნოე სიხარულიძე დაეხმარნენ. 1915 წლის 5 ივლისს გაზეთ „თეატრ და ცხოვრებაში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფილმ „ქრისტინეს" გადაღება იგეგმებოდა. ფილმის რეჟისორად გოგიტიძემ ალექსანდრე წუწუნავა აიყვანა. წუწუნავა კარგად იცნობდა მასალას, რადგან „ქრისტინე" პოლიო ირეთელის 1909 წლის სცენარის მიხედვით

დადგმული ჰქონდა თბილისის, ჭიათურისა და ბაქოს თეატრებში. პირველ ხანებში ფილმს არაპროფესიონალი ოპერატორი იღებდა, მაგრამ შემდეგ გოგიტიძემ მიიწვია ალექსანდრე შუგერმანი, სამხედრო ქრონიკების კინოოპერატორი. ამისთვის მას ამიერკავკასიის უმაღლესი სარდლობის ნებართვა დასჭირდა. გადაღებები თბილისსა და გურიაში მიმდინარეობდა. სოფელ ლიხაურში გოგიტიძემ გლეხისგან სამზადი სახლი შეიძინა და მას სახურავი და ერთი კედელი მოაცილა, რათა გადასაღები ადგილი კარგად განათებულიყო(ხარატიშვილი,1975:33-40).

წუწუნავასა და გოგიტიძეს უთანხმოება მოუვიდათ ქრისტინეს როლის შემსრულბლის შერჩევასთან დაკავშირებით. გოგიტიძეს ამ როლზე ანეტა ქიქოძე, მხატვარ შალვა ქიქოძის და სურდა. წუწუნავამ კი არჩევანი შეაჩერა ანტონინა აბელიშვილზე. აბელიშვილი 40 წლის იყო, მაშინ როცა ქრისტინე 15-16 წლის უნდა ყოფილიყო, მაგრამ წუწუნავამ თავისი გაიტანა. რეჟისორი ქიქოძეს იმიტომ იწუნებდა, რომ ეს უკანასკნელი ქრისტინეს როლს თეატრში ასრულებდა და წუწუნავა შიშობდა, ქიქოძეს კინოში თეატრალური შტამპები არ შეეტანა. სხვა ვერსიის მიხედვით კი წუწუნავასა და აბელიშვილს რომანი ჰქონდათ. გოგიტიძესა და წუწუნავას უთანხმოება ჰქონდათ ოპერატორთანაც, ერთხელ სოფელ აჭში გადაღებების დროს წუწუნავამ შუგერმანს ხელიც კრა და გორაკიდან დააგორა. შუგერმანი დაითხოვეს და მის ნაცვლად ოპერატორი ალექსანდრე დიღმელოვი გახდა.

1916 წელს წუწუნავამ ფილმის სამი ნაწილი გადაიღო, პარალელურად კი ბაქოს დრამატულ თეატრში დგამდა სპექტაკლებს, რაც გადაღებებს აჭიანურებდა, 1917 წელს კი სულ მიატოვა გადაღებები და როსტოვში გაემგზავრა, სადაც კონტრაქტი ჰქონდა იქაურ თეატრთან. ბაქოსა და როსტოვში წუწუნავა 1918 წლის ბოლომდე გაჩერდა. მას აკმაყოფილებდა, რაც გადაიღო. მისი ვერსიით ფილმი ქრისტინეს თბილისში ჩასვლით უნდა დასრულებულიყო. გოგიტიძეს კი ფილმის გამძაფრება სურდა, ამიტომ მან თავად გადაიღო ბოლო ორი ნაწილი. გადაღებები 1917 წლის ოქტომბერში დასრულდა. ფილმი

ეკრანებზე გამოსასვლელად მზად იყო 1918 წლის აპრილში, მაგრამ გურიაში ოსმალეთის იმპერიის ჯარები შეიჭრნენ და ოზურგეთი და რამდენიმე სოფელი დაიკავეს. ოსმალებმა გაანადგურეს გოგიტიძეს ქონება და მასთან ერთად ფილმის ორიგინალი ფირი. შემდგომში მხოლოდ თბილისში შენახული ასლების მეშვეობით მოხერხდა ფილმის აღდგენა.

პრემიერა 1919 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის წლისთავზე კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართა. გოგიტიძემ ფილმის ჩვენებები მთელ საქართველოში გამართა. იქ, სადაც ელექტროენერგია არ იყო, ის საბარგო მანქანაზე დამონტაჟებული სპეციალური დანადგარით აჩვენებდა მაყურებელს. მიუხედავად ამისა, ფილმი კომერციულად მაინც წაგებიანი აღმოჩნდა (ჟურნალი „კინო“ N7 გვ. 227 — 1981 წ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ N39 გვ. 16 — 1917. დოლიძე, 2004: 40).

ამას მოჰყვა შემდეგ ე. ნინოშვილის შემოქმედებით მასალაზე აგებული ფილმები: ივანე პერესტიანისა 1924 „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“- მუნჯი ფილმი, რომლის ჩვენებაც შედგა 1925 წელს. ასევე ალექსანდრე წუწუნავამ გადაიღო მუნჯი ფილმი „ჯანყი გურიაში“ 1928 წელს, ჩვენება კი გაიმართა 1929 წელის 9 სექტემბერს. 1936 წელს სიკო დოლიძემ გადაიღო შესანიშნავი ფილმი „დარიკო“, ეგნატე ნინოშვილის „სიმონას“ და „მოსე მწერლის“ მიხედვით. მისი ეკრანიზაცია მოხდა 1937 წელის 13 იანვარს. აღსანიშნავია, რომ ფილმში შეცვლილია მოთხრობის სიუჟეტის განვითარება. მას მოჰყვა, სიკო დოლიძის „პალიასტომი“ 1963 წელს 9 მოქმედებიანი დრამა, ჩვენება შედგა საკავშირო ეკრანზე 1964 წელს. უკანასკნელად კი ეკრანზე გამოვიდა იური კვაჭაძის „წინამორბედი“ („მჭედელი თავის ბედისა“), რომელიც თვითონ დიდი პროზაიკოსის ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება და მწერლის ცხოვრების ბიოგრაფიული მომენტები მჭიდროდ არის გადახლართული მისივე ნაწარმოების სიუჟეტებთან და გმირენთან. ფილმი არის 2 სერიად. ეკრანიზაცია შედგა 1988 წელს. 25.05.2019 წ http://www.geocinema.ge/ge/index.php

აღსანიშნავია, აგრეთვე ქართული თეატრში წარმოდგენილი ნაწრმოებები. კერძოდ, თბილისში 1918 წელს სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერა რ. გოგნიაშვილისა იყო სწორედ „ქრისტინე“. ასევე წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე ეგ. ნინოშვილის შემოქმედების მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი „ნინოშვილის გურია“ 1933 წლიდან,რომლის რეჟისორი დოდო ანთაძე იყო(დრამა იყო 4 მოქმედებიანი). მისი კაპიტალური აღდგენა მოხდა 1948 წლის 7 დეკემბერს.

ეგ. ნინოშვილის მიერ აღძრულ პრობლემათა აქტუალობასა და მხატვრულ ცხოველმყოფველობას მოწმობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში საერო თეატრის რეპერტუარში ჩაერთო მისი „პარტახი“რეჟისორი გახლდათ სანდრო მრევლიშვილი. საბჭოთა ხელოვნება 1987 # 7

ე. ნინოშვილის შემოქმედება მრავალი ქართველი მხატვრის შთაგონების წყარო ყოფილა, რომელთაგან გამორჩეულია მაინც ლადო გუდიაშვილის „ქრისტინე“.

ზემოთ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ახლოს დგას ეს პროზაიკოსი თავის ხალხთან, მის ყოფასთან. თავისთავად ამდაგვარი ინტერესის არსებობა ამ მწერლის შემოქმედების სიცოცხლისუნარიანობის ნიშანია და შემდგომში მისი შენარჩუნების უპირო დასტურიც.

თავი VI. ავტორისეული ხედვა ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტიკაში

ეგ. ნინოშვილმა თავისი მხატვრული ნაწარმოებების გარდა მეტად საინტერესო პუბლიცისტურ- ეპისტოლარული მემკვიდერობაც დაუტოვა შთამომავლობას. მისი ნაწერები არა მარტო ჟანრობრივად განსხვავდებიან მწერლის ბელეტრისტურ თხზულებათაგან, არამედ სოციალურ პრობლემათა გააზრების თვალსაზრისითაც. კერძოდ, თუ თავისი პროზაული ნაწარმოებებით ე. ნინოშვილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ბელეტრისტთა შემოქმედებითი სამყაროსგან აღმოცენებული შემოქმედია, თავისი მოთხრობების ტიპაჟითაც და პრობლემატიკითაც მათთან სისხლხორცეულად დაკავშირებული მწერალი, პუბლიცისტიკით იგი გაცილებით თანამედროვეა, თავისი დროის ეპოქალურ მოვლენათა პროცესში თავადაც აქტიურად ჩართული. მართალია, მის ბელეტრისტიკაში კაპიტალიზმის შემოსვლის შედეგად დამკვიდრებული სოციალური სინამდვილეც აისახა, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ ე. ნინოშვილის ლიტერატურულ წარმატებებს ჩვენი მწერლობის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, მაინც სოფლური ყოფნის მხატვრული წარმოსახვა განსაზღვრავს და არა ახალი სოციალური ურთიერთობებისათვის თანმდევ მოვლენათა ფართო განზოგადებულობით წარმოჩენა. ამ თვალსაზრისით, არა მარტო მწერლის პროზა და პუბლიცისტიკა ემიჯნება ერთმანეთს, არამედ მხატვრული შემოქმედებაც.

ეგნატე ნინოშვილი, თავისი იდეური მრწამსით ახალ საფეხურზე იდგა მე-19 საუკუნის ახალ თაობასთან ერთად და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელადაც იყო აღიარებული. მან სამწერლო მოღვაწეობოს დროს პუბლიცისტურ წერილებში, გააჟღერა მოწოდება ძველი და ყავლგასული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ე. ნინოშვილის ფელეტონი "გურიის ამბები", რომელიც 1887 წელს გაზეთ "ივერიაში" დაიბეჭდა, მიმართულია ცრუმორწმუნეობის და გაუნათლებლობის წინააღმდეგ, რაც იმ დროისთვის ყველაზე საშინელი სენი იყო. ავტორი მწარე სარკაზმით აგრძნობინებს მკითხველს, რომ უმეცრებიდან ჩვენი ხალხის გამოსაყვანად ევროპისადმი ბრმა მიბაძვა (ფრაკ- სერთუკებისა და "კაკარტების" შეძენა) კი არ არის საჭირო, არამედ სწავლა-განათლება, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს სწავლა-განათლება და როდის გახდება შესაძლებელი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მისი წარმართვა? ამ საკითხებს მიეძღვნა ე. ნინოშვილის ცნობილი წერილი ,,უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის". ამ წერილით ე. ნინოშვილი აკრიტიკებს "ივერიის" თანამშრომლების – მეველესა (დ. მიქელაძე) და პლებსის (ნ. ხიზანიშვილი) მოსაზრებებს სპეციალისტების აღზრდით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, გაუმჯობესების თაობაზე. ეგნატეს აზრით, განათლებული სპეციალისტების, ტექნოლოგებისა და აგრონომების აღზრდა საქმეს ვერ უშველიდა. ინგლისს, როგორც ე. ნინოშვილი ამბობს, მსოფლიოში ყველაზე მეტი განათლებული სპეციალისტი ჰყავს, იგი ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრე მოქცეულია საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში. მშრომელი ხალხის უმრავლესობა კი საშინელ სიღატაკესა და სიბნელეს განიცდის. განათლებული ტექნოლოგები და აგრონომები მთავრობის ბიუროკრატიულ სამსახურში შევლენ და ისევ უფროსებს გაამდიდრებენო, -- მიუთითებდა ეგნატე ნინოშვილი. მას მტკიცედ სწამს, რომ ხალხის ჭეშმარიტ სიმდიდრეზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა ერის შემოსავალში ყველა ერთნაირად დაიდებს წილს. ეს კი არ მოხდება, თუ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა არ შეიცვალა.

ამავე საკითხისადმი არის მიძღვნილი 1893 წ. ივლისში დაწერილი ,,ძველი დავა ახალ ქერქში", რომელშიც ე. ნინოშვილი ჩანს, როგორც ჩამოყალიბებული, მომწიფებული პუბლიცისტი თავისი რევოლუციური აზროვნებით ცხადყოფს, რომ კაპიტალიზმი ჩვენში იმ მდინარესავით მოედინება, რომლის შეფერხება არც შეგვიძლია და არც საჭიროა, მაგრამ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითებიდან ვრწმუნდებით, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი ფეხს იკიდებს, ერის ნაწილი ღატაკდება და მეორე ნაწილის ხელში ვარდება ეკონომიკურ მონად. რევოლუციური პუბლიცისტიკის აღნიშნული მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა აუცილებლობა არსებული ეკონომიკური და სოციალური წყობილების შეცვლის ისეთი წყობილებით, სადაც არ იქნება სოციალური ჩაგვრა.

კორესპონდენციებში "ხმა გურიიდამ", "წერილი გურიიდამ" და პუბლიცისტურ წერილში -- "საბაასო", ეგნატე ფირალობის საჭირბოროტო საკითხს ეხება და ბრალად დებს არსებულ წყობილებას იმ სოციალურ უსამართლობას, რომელიც აიძულებს სოფლის პატიოსან მშრომელ ადამიანს ბარი და თოხი დააგდოს, საყვარელი ცოლ-შვილი ბედის ანაბარა მიატოვოს, თვითონ კი თოფს დაავლოს ხელი და ტყეში ყაჩაღად გაიჭრას.

„ფირალობის" საკითხი ნინოშვილის კორესპოდენციების ძირეული თემაა. „ფირალობის" გაჩენის სოციალური მიზეზების ძიება, რეპრესიები, რომელიც მოჰყვება „ფირალობას", სოფლის აწიოკება ეგზეკუციებით და ამ ნიადგზე ახალი „ფირალების" გაჩენა ნინოშვილის მრავალი წერილის მთავარი სათქმელია. მართალია, იგი არ ამართლებს ყაჩაღობით ცხოვრების გზას („სიმონაში" მოხუცი ქეთევანი ხელს არ ჰკიდებს სიმონას მიერ „სანდო კაცის ხელით" გამოგზავნილ ფულს - „ამ სიკტილის ჟამს ნაქურდალის ჭამას ხომ არ დავიწყებო") . - მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ბევრად უფრო ღრმად იხედება მოვლენებში, ვიდრე გაზეთების ის კორესპოდენტები, რომელნიც ყაჩაღობის გაძლიერებას, „გურული გლეხის უზნეობით, შთამომავლობითი

ინსტინქტებით“ ხსნიდნენ. „ყოველთვის და ყველაფერში რომ ყაჩაღებს ვამტყუნებთ.... რატომ ერთხელ იმ მიზეზებზედაც არ დავფიქრდებით, რომლებიც ჰბადებენ ყაჩაღობას... მეტად საგულისხმოა გამორკვევა, რა მიზეზი აღებინებს კაცს ხელს საყვარელ ცოლსა და შვილზე, მეზობელსა და ნათესავზე, მშობლიურ მიწა-წყალზედ, მამა-პაპეულს ზნე-ჩვეულებაზედ და გაუყენებს განსაცდელით და სატანჯველით სავსე გზას?“

ამიტომაა, როდესაც 1892 წ. 12 თებერვალს (ე.ი. „სიმონას“ გამოქვეყნების შემდეგ) „ივერიაში“ დაიბეჭდა სტ. ჭრელაშვილის აღშფოთებული წერილი ყაჩაღობის თაობაზე. ორი დღის შემდეგ ე. ნინოშვილმა პ. უმიკაშვილისაგმი მიწერილ კერძო წერილში ჭრელაშვილის კორესპოდენციას „დონოსისებური“ უწოდა.

ფეოდალური კლასის გადმონაშთებსა და კაპიტალისტურის ახლადგაჩენილ წარმომადგენლებთან ერთად გლეხობას მძიმე ტვირთად აწევს ცარიზმის მოხელეთა ბიოროკრატიული აპარატიც. ეს საკითხიც არაერთხელ გამხდარა ე. ნინოშვილის კორესპონდენციების თემა. მოთხრობა “სიმონამ”, რომელიც გაზეთ “ივერიაში” დაიბეჭდა 1892 წელს, მის ავტორს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი, როგორც ნიჭიერ ბელეტრისტს. “სიმონაში” ე. ნინოშვილმა მხატვრულად შეასხა ფრთები იმ აზრს, რომელიც ფირალობის შესახებ თავის პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვა.

ე. ნინოშვილის პუბლიცისტურ შემოქმედებაში ერთგვარად განცალკევებულია “წერილები დაღესტნიდან”. ამ წერილებში იგი ქართველ მკითხველს აცნობს საქართველოს ერთ-ერთი კარის მეზობელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და მათთან კეთილგონიერ, სოლიდარულ ურთიერთობას შთააგონებს.

დასკვნა

ეგნატე ნინოშვილი ახალი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში საგულისხმო მოვლენაა, როგორც თავისი მსოფლმხედველობით ისე ლიტერატურული მიმართულებით, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებით. იგი აგრძელებდა კლასიკურ ტრადიციებს და, თავის მხრივ, ახალი მოტივებით და თემებით ამდიდრებდა მშობლიურ ლიტერატურას. მწერალი ლიტერატურაში ახალ, თავისებურ პერიოდს იწყებს. ის 90-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენტის რევოლუციურ-დემოკრატიული თვალთახედვით ჭვრეტს ეროვნული ცხოვრების მოვლენებს.

მის შემოქმედებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა, მწერლის თანამედროვე სოფლის დამახასიათებელმა ყველა სოციალურმა პროცესმა, სოფლის სარბიელზე იმ დროს მოქმედმა ყველა ძირითადმა სოციალურმა ძალამ. ამ ძალთა ვითარებას და ურთიერთობას ნინოშვილი ხატავდა არა ნეიტრალური მაყურებლის კალმით, არამედ

მგზნებარე რევოლუციონერის, დემოკრატის თვალსაზრისით, კლასობრივი ბრძოლის, მშრომელი გლეხობის,რევოლიციური სულისკვეთების თვალსაზრისით.

მწერლის მხატვრული ხედვის სარბიელს სოფელი წარმოადგენდა. ქალაქი და მისი ცხოვრება არ გამხდარა ნინოშვილის მხატვრული განსახიერების უშუალო საგნად. მის შემოქმედებაში არ ჩანს მუშათა კლასი, სამრეწველო პროლეტარიატი.

იმ დროს როცა ნინოშვილი თავის მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდა, საქართველოშ უკვე არსებობდა სამრეწველო პროლეტარიატი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის საბრძოლველად დარაზმულ, საკუთარი კლასობრივი მსოფლმხედველობით შეიარაღებულ ძალას. მუშათა კლასს საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ არ ჰყავდა თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელი პროლეტარული, რევოლუციური პარტიის სახით. პროლეტარიატის ამგვარი პოლიტიკური ავანგარდის წარმოშობას და თანამიმდევრული რევოლუციური მოძღვრების ნიადაგზე მუშათა კლასის ბრძოლის გაშლას ეგნატე ნინოშვილი არ მოსწრებია.

მწერალი თავის თანამედროვე სოციალურ სინამდვილეს მძაფრად მამხილებელი საღებავებით ხატავს, მაინც ვერ სახავს გამოსავალს, ცხოვრების გარდაქმისა და განახლების ნათელ პერსპექტივას. ამით უნდა აიხსნას, რომ ნინოშვილის ნაწარმოებთან დადებითი გმირები განწირულნი არიან დასაღუპავად და იღუპებიან კიდეც.

ეგნატე ნინოშვილი თავისი შემოქმედებით მხატვარია იმ პერიოდის გართულებული სოციალური სინამდვილისა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. იგი მსოფლმხედველობითი და მხატვრული აზროვნებითაც პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის უახლოესი წინამორბედია.

და მართლაც, ის ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციების განმგრძობია. მხატვრული სტილის თვალსაზრისით კი ილია ჭავჭავაძის სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია.

თავის ქმნილების საერთო იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობით გატაცებული მწერალი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ფრაზის მხატვრობას, ძუნწად იყენებდა პეიზაჟსაც, იშვიათად მიმართავდა ბუნების აღწერას; ყოველ ასეთ შემთხვევაშ, ბუნების აღწერილობას ნაწარმოების გმირის სულიერ განწყობილებასთან აკავშირებდა ამ უკანასკნელის უფრო ცხოვლად და მკაფიოდ გადმოცემის მიზნით.

სამწერლო ენის მხრივ ეგნატე ნინოშვილი თავის გმირთა სამეტყველო ენას ემყარება, ამით აიხსნებაის გარემოება, მის ნაწარმოებთა ენას მკაფიოდ გამოვლენილი დიალექტური ელფერი ახასიათებს.

დაბლოს, ეგნატე ნინოშვილმა დიდი სულიერი დაძაბულობით, სისხლისა და ცრემლის ფასად მიაღწია სულიერ სინათლეს. მან ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაამტკიცა, რომ არ არსებობს დაბრკოლება, რომლის გადალახვა ნიჭს არ შეეძლოს. ეგ. ნინოშვილის თხზულებები ერთ მოზრდილ ტომში ექცევა... და ყველაფერი ეს - 18 მოთხრობა, 6 კორესპოდენცია და 2 პუბლიცისტური სტატია ძალზე მცირე დროის მანძილზე იქმნება.

დღეს კი ყველას გვაოცებს ფიზიკურად გატეხილი კაცის ფენომენალური სულიერი გამძლეობა, ნების სიმტკიცე და ინტერესთა სიფართოვე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბაშიძე, 1981**: აბაშიძე გიორგი ნარკვევები მე-19 საუკუნის ქარტული ლიტერატურის ისტორიიდან კრ. 5 შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტი. მეცნიერება თბ.,
2. **აბაშიძე, 1897:** აბაშიძე კიტა, ცხოვრება და ხელოვნება, ჟურნ. "მოამბე". , № 10.
3. **ავალიანი. 1841:** ავალიანი სერგო,„Акты"ტ. IX, „Крестьянский вопрос" ტ. I
4. **ანთელავა, 1970 :** ანთელავა ირაკლი , საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. V საბჭოთა საქართველო.

5. **აღნიაშვილი, 1935:** აღნიაშვილი ლადო, ლიტერატურული მემკვიდრეობა წიგ. 1 სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ.,
6. **ბარამიძე, 1952:** ბარამიძე, ალექსანდრე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. III: სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა და სტ. თბ.
7. **გამეზარდაშვილი, 1957:** გამეზარდაშვილი დავით, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, სახელმწიფო გამოცემა, თბ.
8. **გაფრინდაშვილი, 1934:** გაფრინდაშვილი ვალერიან, სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო , სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი „მნათობი“ 5-6 წელიწადი მეთერთმეტე სახელგამი თბ.,
9. **გომართელი,2012** : გომართელი ივანე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე „ლიტერატურა და ხელოვნება“, რჩეული თხზ. ტ. I, თბ.,
10. **გვერწითელი, 1984:** გვერწითელი გურამ, შორეულნი და ახლობელნი ლიტერატურული ნარკვევები, პორტრეტები, ესკიზები გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
11. **დოლიძე, 2004:** დოლიძე ზვიად, „ქართული კინო“ ,რაეო
12. **ევგენიძე, 1943:** ევგენიძე იუზა, ქართული ლიტერატურა, ტ. II, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ.,
13. **ზანდუკელი, 1961:** ზანდუკელი მიხეილ, ლიტერატურული ნარკვევები ტ II სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ,თბ.,
14. **ზანდუკელი, 1986:** ზანდუკელი მიხეილ, თხზულებანი, ტ.IV „თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა“, თბ.,
15. **კასრაძე, 1957**: კასრაძე დავით -ალექსანდრე წუწუნავა მონოგრაფია ხელოვნება თბ.,

16. **კეკელიძე, 1957:** კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V , საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ.,
17. **კეკელიძე,** 1957:კეკელიძე კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან : ტ. IV , სტალინის სახ. თბილისის სახ. უნი-ტის გამომცემლობა,თბ.,
18. **კოტეტიშვილი, 1965:** კოტეტიშვილი ვახტან, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ.,
19. **ნიკოლეიშვილი, 2002:** ნიკოლეიშვილი ავთანდილ, ლიტერატურული ნარკვევები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, ქუთ.,უნივერს.,
20. **ნიკოლეიშვილი, 1994:** ნიკოლეიშვილი ავთანდილ, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, „მოწამეთა“, ქუთ.,
21. **ნინოშვილი, 1984 :** ნინოშვილი ეგნატე, თხზულებანი“საბჭოთა საქართველო“ თბ,.
22. **სიხარულიძე, 1955:** სიხარულიძე ი., გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება, ბათ.,
23. **ღლონტი, 1984:** ღლონტი ალექსანდრე, ნინოშვილის, თხზ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
24. **ქიქოძე, 1954: ქიქოძე გერონტი,** „ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული“, „საბჭოთა მწერალი“ თბ.,
25. **წერეთელი, 1950:** წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 2.,თბ.,
26. **წერეთელი, 1894:** წერეთელი აკაკი, “ჭრელი ფიქრები”, გაზ. “კვალი”, № 23.,
27. **წერეთელი, 1894:** წერეთელი აკაკი, ჟურნალი“კვალი”, წ., №21, თბ.,
28. **ჭილაია-ცისკარიძე, 1984:** ჭილაია-ცისკარიძე ვალერამ, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ., I, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, თბ.,
29. **ხარატიშვილი, 1975:** ხარატიშვილი გიორგი, ქართული კინოს დაბადება, გამ. ხელოვნება, თბ.,

30. **ხუნდაძე, 1949:** ხუნდაძე სიმონ, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, გამ. „საბჭოთა მწერალი“ თბ.,
31. **ხუნდაძე, 1930:** ხუნდაძე სიმონ „მემუარები/დიმიტრი ყიფიანი“
32. **ჯანჯღავა, 2004: ჯანჯღავა ვახტანგ** საქართველოს ისტორია XIX საუკუნე სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ.,
33. ჟურნალი „კინო“1981 N7
34. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1917 N39
35. В.Чудинов „Востание Гурийцев в 1841 г.“ დაბეჭდილია: „Кавказ-ский сборник“-ში ტ. XIV, 1890 წ. „აჯანყება გურიაში 1841 წ.“გაზ. „ცნობის ფურცელი“. # 1858, 1902 წ.)
36. Ocherki_Istorii_Tom_V д-р ист. наук О. К. Жордания Рецензенты: д-р ист. наук Ш. В. Л о м с а д з е, канд. ист. наук С. С. Л е к и ш в и л и ,канд. ист. наук Л. Л. М е л и к с е т - Б е к, канд. ист. наук М. М. М и р и а н а ш в и л и канд. ист. наук К. Д. М у ш к у д и а н и
37. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი; „autoref-zapadnaya-gruziya-v-sostave-rossiiskoi-imperii-transformatsiya-traditsionnykh-institutov“ ЗАПАДНАЯ ГРУЗИЯ В СОСТАВЕ РОССИЙСКОЙ
38. ИМПЕРИИ: ТРАНСФОРМАЦИЯ ТРАДИЦИОННЫХ
39. ИНСТИТУТОВ (ПЕРВАЯ ПОЛОВИНА XIX В.) РЫБАКОВ Антон Львович Москва - 2009

40. მანანა ვადაჭკორია www.nplg.gov.ge
41. ჯანყი გურიაში 10.01.2019 http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=89&id=1215
42. აჯანყება 16.01.2019 http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/rusetis_kolonialuri_chagvrisadmi1.html#4

43. წმინდა გიორგი 15.02.2019 http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/shemokmedis-eparkiashi-27-tsmida-giorgis-eklesia-monasteria)

44. 25.02.2019 http://m.geotimes.ge/news.php?news_id=34680

45. 20.03.2019 ეროვნული ფილმოგრაფია http://www.geocinema.ge/ge/index.php